ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის ანგარიში

1 თებერვალი - 31 მარტი, 2021

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ 4

კვლევის მეთოდოლოგია 4

ძირითადი მიგნებები 5

მონიტორინგისთვის შერჩეული სატელევიზიო არხების ანალიზი 7

პირველი არხი 7

რაოდენობრივი შედეგები 7

შინაარსობრივი შედეგები 8

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია 12

რაოდენობრივი შედეგები 12

შინაარსობრივი შედეგები 13

მთავარი არხი 16

რაოდენობრივი შედეგები 16

შინაარსობრივი შედეგები 17

იმედი 22

რაოდენობრივი შედეგები 22

შინაარსობრივი შედეგები 23

პალიტრა ტვ 27

რაოდენობრივი შედეგები 27

შინაარსობრივი შედეგები 28

„ფორმულა“ 30

რაოდენობრივი შედეგები 30

შინაარსობრივი შედეგები 31

კავკასია 33

რაოდენობრივი შედეგები 33

შინაარსობრივი შედეგები 34

რუსთავი 2 36

რაოდენობრივი შედეგები 36

შინაარსობრივი შედეგები 37

POSTV 39

რაოდენობრივი შედეგები 39

შინაარსობრივი შედეგები 40

მაესტრო 44

რაოდენობრივი შედეგები 44

შინაარსობრივი შედეგები 45

ტვ პირველი 47

რაოდენობრივი შედეგები 47

შინაარსობრივი შედეგები 48

ობიექტივი 50

რაოდენობრივი შედეგები 50

შინაარსობრივი შედეგები 51

გენდერული სტერეოტიპები – სატელევიოზიო ახალ ამბებში 55

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „საქართველოს 2020 წლის არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, დააკვირდა სატელევიზიო ახალი ამბების მიერ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გაშუქებას 2021 წლის 1 თებრვლიდან 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით. მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვება ხდებოდა 12 სატელევიზო არხზე: პირველი არხი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია მთავარი, რუსთავი 2, იმედი, ფორმულა, ტვ პირველი, მაესტრო, ობიექტივი, კავკასია, პალიტრა ტვ, POSTV

კვლევის მეთოდოლოგია

სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის მიზანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა პოსტსაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების გაშუქება.

მედიამონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვება ხდებოდა როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი კომპონენტების გათვალისწინებით. რაოდენობრივი კვლევისას ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, თუ რა სიხშირითა და ტონით შუქდებოდა ესა თუ ის სუბიექტი შერჩეულ მედიასაშუალებაში. თვისებრივი დაკვირვებისას ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, თუ რამდენად იცავდა შერჩეული მედიასაშუალება ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს, როგორიცაა: ფაქტის სიზუსტე, წყაროების მრავალფეროვნება, დაბალანსებული გაშუქება, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება, გენდერული სტერეოტიპების ტირაჟირება, რაიმე სახის მანიპულაცია და ა.შ.

მონიტორინგის დროს, ასევე, ყურადღება ექცეოდა სატელევიზიო ახალ ამბებში საკითხების ისეთ გაშუქებასა და ტერმინების გამოყენებას, რომლებიც საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს აძლიერებენ პირდაპირი ან ირიბად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდებოდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და პოლიტიკოსებზე. კერძოდ, მონიტორინგის სუბიექტები იყვნენ როგორც ის პარტიები, რომლებმაც 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგად პარლამენტის მანდატები მოიპოვეს, ასევე ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პოსტსაარჩევნო პერიოდში განვითარებულ პროცესებში.

მონიტორინგს ექვემდებარებოდა არა მხოლოდ პოლიტიკურ თემებზე მომზადებული სტატიები, არამედ ყველა მასალა, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი. თუმცა, არჩევნების შემდგომ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შემდეგ თემებს: პარლამენტის ბოიკოტი, საარჩევნო სისტემის რეფორმა, საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმა, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, პარლამენტის ხელახალი არჩევნები, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მიტინგები/აქციები, ნიკა მელიას საქმე, მთავრობის ცვლილება, პოლიტიკური დიალოგი/მოლაპარაკებები.

ანგარიში მოიცავს 1 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით პერიოდში სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის შედეგებს.

მასალების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი

ძირითადი მიგნებები:

- პოსტსაარჩევნო პერიოდში მონიტორინგისთვის შერჩეული ყველა არხის მონაცემებით, პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“. მას მოსდევს „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“.

- პოსტსაარჩევნო პერიოდში სატელევიზიო ახალ ამბებში ყველაზე აქტიურად ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართულ პოლიტიკურ მოლაპარაკები და ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებული საკითხები გაშუქდა;

- მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა, რომ მედიაგარემო მკვეთრად პოლარიზებული იყო. მაუწყებელთა ერთი ნაწილი ხელისუფლებისადმი იყო მიკერძოებული, მეორე კი ოპოზიციისადმი;

- ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად POSTV-ზე გაშუქდა. დროის 22 % დადებითი ტონით შეფასებას დაეთმო.

- „ქართული ოცნება“ ყველაზე უარყოფითად „მთვარ არხზე“ გაშუქდა. დროის 56 % უარყოფითი ტონით შეფასებას დაეთმო. „ქართული ოცნების“ მიმართ ყველაზე კრიტიკული სიუჟეტები ხშირად ამ არხის ეთერში გადიოდა.

- „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაზე დადებითად „ფორმულას“ ეთერში გაშუქდა. დროის 15 % დადებთი ტონით შეფასებას დაეთმო. ეს პარტია ყველაზე უარყოფითად „ობიექტივმა“ გააშუქა. დროის 61 % უარყოფითი ტონით შეფასებას დაეთმო.

- მთავარ არხს“ მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ და მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

- „პირველ არხს“ ხელისუფლებისადმი არაკრიტიკული, ლოიალური სარედაქციო პოლიტიკა აქვს.

- „იმედი“ და POSTV ხელისუფლებისადმი მიკერძოებით გამოირჩევა. აქ მმართველი გუნდი აბსოლუტურად დადებითადაა წარმოჩენილი. ამ არხებზე ოპოზიცია მაქსიმალურად დისკრედიტირებულია.

- მიხეილ სააკაშვილს ყველაზე მეტი დრო POSTV-მ დაუთმო. ყველაზე უარყოფითად მიხეილ სააკაშვილი სწორედ ამ არხზე გაშუქდა და უარყოფთი ტონით გაშუქებამ 88 % შეადგინა.

- ბიძინა ივანიშვილი ყველაზე უარყოფითად „მთავარი არხის“ ეთერში გაშუქდა. დროის 85 % უარყოფითი ტონით შეფასებას დაეთმო.

- მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა, რომ წინასაარჩევნო მედიაგარემო პლურალისტური, თუმცა მკვეთრად პოლარიზებული იყო. მაუწყებელთა ერთი ნაწილი ხელისუფლებისადმი იყო მიკერძოებული, მეორე კი ოპოზიციისადმი. მიკერძოება არასასურველი საარჩევნო სუბიექტის ნეგატიურ გაშუქებაში გამოიხატებოდა.

- წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელებული მედიამონიტორინგის შედეგების მსგავად, პოსტსაარჩევნო პერიოდში, კვლავ ხშირია პროფესიული ეთიკის დარღვევისა და მანიპულირების შემთხვევები. ხშირია გონივრული ბალანსის დარღვევის და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების ფაქტები.

- თითქმის არ გვხვდებოდა ჟურნალისტთა ტექსტებში სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები

- მონიტორინგის პერიოდში სექსისტური განცხადებების ტირაჟირების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგისთვის შერჩეული სატელევიზიო არხების ანალიზი

პირველი არხი

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ „პირველი არხის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მოამბე 21 საათზე“ და გადაცემას „ახალი კვირა“.

„პირველ არხზე“ მონიტორინგის პერიოდში „მოამბეში“ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. ყველაზე უარყოფითად „პირველ არხზე“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა (მისთვის დათმობილი დროის 28 %).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდა.

შინაარსობრივი შედეგები

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ „პირველი არხი“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს. „მოამბეში“ ეთიკური სტანდარტები მეტწილად დაცულია. თუმცა გვხვდება შემთხვევები, როცა ბალანსი ფორმალურადაა დაცული და სიუჟეტის წყობა იმგვარია, რომ უპირატეს მდგომარეობაში „მმართველი გუნდი“ წარმოჩნდეს;

საზოგადოებრივი მაუწყებელი, ისევე როგორც, მაგალითად, არჩევნების პერიოდში, არც ახლა გამოირჩევა ექსკლუზიური ან ხელისუფლების მამხილებელი კრიტიკული მასალებით; არხზე თითქმის არ გადის მასალები, რომლებიც ეხება, მაგალითად, ადამიანის უფლებების დარღვევის, კორუფციის ფაქტებს, ჩინოვნიკების ქონებას და ა.შ.

„მოამბე“ რჩება მმართველი პარტიისადმი ლოიალურად განწყობილად და ეს მიკერძოებული დამოკიდებულება და სახელისუფლებო მესიჯბოქსის ტირაჟირება მონიტორინგის პერიოდში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანდა ქვეყნაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გაშუქების დროს.

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად ნიკა მელიას დაკავების და ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებე-

ბის პროცესი გაშუქდა. ამ დროს საზოგადოებრივი მაუწყებელი გაცილებით კრიტიკული იყო ოპოზიციური პარტიების მიმართ. მაგალითად, ნიკა მელიას საქმის გაშუქებისას ოპოზიცია ზოგჯერ წარმოჩენილი იყო, როგორც დესტრუქციის მოსურნე ძალა, რომელიც ცდილობს, ნიკა მელიას შესაძლო დაპატიმრებით ისარგებლოს და მოვლენები თავისთვის სასურველი მიმართულებით განავითაროს; ასეთივე აქცენტი იყო გაკეთებული მოლაპარაკებების თემაზე - ოპოზიცია, რომელიც კომპრომისზე არ მიდის.

ამასთან, ნიკა მელიას საქმე ძირითადად უკონტექსტოდ შუქდებოდა. მისი ქმედების მიმართ ნეგატიური კონტექსტის შექმნის მიუხედავად, არხი მაყურებელს არ სთავაზობდა თავის არგუმენტებს, რატომ თქვა უარი მეორედ დაკისრებული გირაოს გადახდაზე ოპოზიციის ლიდერმა. ნიკა მელიას შესაძლო დაპატიმრება ძირითადად წარმოჩენილი იყო მიხეილ სააკაშვილის გეგმად. ხოლო, ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც პარლამენტში შევიდნენ, - „რადიკალური ფრთის თავდასხმის“ ობიექტებად.

განსაკუთრებით კრიტიკული და, შეიძლება ითქვას, დისკრედიტაციულიც კი იყო არხზე საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გაშუქება. მიხეილ სააკაშვილს მოიხსენიებდნენ „უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილად“, „დისტანციურ ლიდერად“, ოპოზიციას კი - „ეკლექტიკურ ერთობად“.

მაშინ, როდესაც „მოამბის“ სიუჟეტებში სააკაშვილი წარმოჩენილი იყო ქართული ოპოზიციური სპექტრის უკან მდგომად და მთავარი გადაწყვეტილებების მიმღებ პირად, „ქართული ოცნების“ ლიდერების უკან ივანიშვილის ყოფნის შესახებ „მოამბის“ სიუჟეტებში მინიშნებაც არ არის. ივანიშვილს, როგორც პოლიტიკურ პროცესებთან კავშირში მყოფ ფიგურას, „მოამბე“ საერთოდ არ განიხილავს.

მმართვლი პარტიისადმი დადებითი განწყობა გამოვლინდა „მოამბეში“ გიორგი გახარიას გადადგომის გაშუქებისას.

იმ დღეს, 18 თებერვლას, როდესაც გიორგი გახარია გადადგა და ეს გადაწყვეტილება ნიკა მელიას საქმეს დაუკავშირა, საზოგადოებრივი მაუწყებლის დღის მთავარ გამოშვებაში პირველი თემა გახარიას გადადგომაკი არ იყო, არამედ პრემიერობის კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილის წარდგენა. ამ სიუჟეტში არ გაკეთებულა აქცენტები იმ გახმაურებულ საქმეებზე, რომლებიც ირაკლი ღარიბაშვილს უკავშირდება და არც პრემიერობის წინა ვადის დროს მის მოულოდნელ გადაყენებაზე ყოფილა დასმული განსაკუთებული აქცენტი. „ ახლა სწორედ თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა უნდა დააკომპლექტოს მომავალი მინისტრთა კაბინეტი და ნდობის მისაღებად პარლამენტს წარუდგინოს. ღარიბაშვილს, რომელსაც 2013-2015 წლებში ერთხელ უკვე ეკავა მთავრობის მეთაურის პოსტი, „ქართული ოცნება“ სრულ მხარდაჭერას უცხადებს“, - ასე წარადგინა წამყვანმა თემა და ეს იყო სიუჟეტის აქცენტიც. უშუალოდ გახარიას გადადგომა ამ დღეს მესამე სიუჟეტად გავიდა

იმის მიუხედავად, რომ „მოამბე“ მუდმივად ცდილობს, სიუჟეტებში მხარეთა მრავალფეროვნება წარმოაჩინოს, ზოჯერ მაინც შესამჩნევია ცალკეული ჟურნალისტების მიკერძოებული დამოკიდებულება პოლიტიკური პროცესებისადმი. ასე იყო 4 თებერვალს გასულ სიუჟეტში. იმის მიუხედავად, რომ ოპოზიციური ნაწილი საკუთარ ერთობას სააკაშვილთან არ აიგივებს, ეს საკითხი „მოამბეში“ სწორედ ასე იყო წარმოჩენილი.

„რა შედეგი გამოიღო ქართული ოპოზიციის საპარლამენტო ბოიკოტმა? - ამ დრომდე ეს პოლიტიკური აქტი რომ უნაყოფოა, ამაზე უკვე ყოფილი პრეზიდენტის მოქმედ რეზიდენტ ქვეყანაშიც საუბრობენ. „ევროპეისკაია პრავდა“ უკვე პირდაპირ წერს, რომ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც უკრაინას მოდერნისტულ ი რეფორმების მთელ წყებას ჰპირდება, მორიგი გეგმა საკუთარ სამშობლოში ჩაუვარდა“. - თქვა ჟურნალისტმა.

მასალაში გამოყენებული ტერმინები „ოპოზიციური ერთობის დისტანციური ლიდერი“ (მიხეილ სააკაშვილზე) და „ეკლექტიკური ერთობა“ (ოპოზიციაზე) მიხეილ სააკაშვილს და ოპოზიციას ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩენდა.

„კონსენსუსს უცხო სიტყვათა ლკექსიკონში თავისებური განმარტება აქვს, თუმცა, როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკურ ლექსიკაში სხვაგვარად „ითარგმნება“ და მარტო „იმან დათმოს“-ს ნიშნავს. „ის“ კი, ანუ მმართველი პარტია, ამბობს, რომ იმ ერთი ულტიმატუმის - რიგგარეშე არჩევნების გარდა - მოლაპარაკება ყველაფერზე შეიძლება.”

4 თებერვლის მსგავსად, 3 თებერვალს გასულ სიუჟეტშიც ხაზი გასმულია იმაზე, რომ ბოიკოტში მყოფი ოპოზიციის მთავარი მიზანი რიგგარეშე არჩევნებია.

„ბოიკოტის იდეის ირგვლივ გაერთიანებულთათვის კი, რომელთა ამოსავალი წერტილიც მხოლოდ რიგგარეშე არჩევნებია, ქვეყნის ინტერესების განსხვავებული გაგება არსებობს”. - თქვა ჟურნალისტმა მასალაში.

ამავე მასალაში ჟურნალისტი, ერთი მხრივ, ოპოზიციას ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩენს: „ოპოზიციის ნაწილი კვლავ იმავე რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს, ისევ მასშტაბური გაყალბების არგუმენტით, რომლის საპირწონე მაღალი სტანდარტის მტკიცებულებაც არათუ საჯაროდ, არამედ მოლაპარაკებების დახურულ მაგიდასთანაც არ თუ ვერ წარუდგენია”, - მეორე მხრივ კი მმართველი პარტიის კონსტრუქციულობას უსვამს ხაზს: „ასეთი მტკიცებულებების მოძიებისა თუ წარდგენისთვის მმართველი პარტია ოპოზიციას კიდევ ერთხელ სთავაზობს პარლამენტს შიგნით საგამოძიებო კომისიის შექმნას...“.

„მოამბე“ აქტიურად აშუქებს საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის აქტივობებს, თუმცა ამას იყენებს ოპოზიციის ნეგატიურ კონტექსტში გასაშუქებლად. ასე მოხდა 9 თებერვალს „მოამბეში“ გასულ სიუჟეტში. თუმცა ეს სიუჟეტის ერთადერთი ხაზი არ ყოფილა.

„ასე უნდა დაბადებულიყო ახალი ლიდერი, რომელიც, როგორც დაუმორჩილებლობის პირველი აქტის შემოქმედი, ალბათ, დაუმორჩილებლობის უფრო დიდ ტალღასაც გაუძღვებოდა. თუმცა 3 თვის შემდგომ სამაჯურმოხსნილი ნიკა მელიას ანგარიშზე ჯერჯერობით პარტიის თავმჯდომარის თანამდებობა და ამ სამაჯურის მოხსნისთვის დაკისრებული 40 ათასი ჯერაც გადაუხდელი ლარია“. - თქვა ნიკა მელიაზე ჟურნალისტმა. მან ქუჩაში კომენდანტის საათის გასაპროტესტებლად გამართული აქცია და ნიკა მელიასგან სამაჯურის მოხსნა მიხეილ სააკაშვილის პოსტს დაუკავშირა.

„ამის შემდეგ პოლიტიკური თავსატეხი ისეთი რთულად ამოსახსნელიც აღარ ჩანს. პროცესში თითქოს თავის ადგილზე ჯდება თავად ნიკა მელიას 2 დღით ადრე გაკეთებული განცხადება [არ გადავიხდი და ვერ დამიჭერთ]... და უკვე დღეს, შსს-სთან „ლელოს“ ლიდერთა მიერ დეკლარირებული ტექსტი შაბათს დაჯარიმებულთა თაობაზე, რომლებმაც ღიად თქვეს, რომ იდენტიფიცრებულ და დაჯარიმებულ პირთაგან არცერთი ჯარიმის გადახდას არ აპირებს. თუმცა ეს ამბავი „ლელოს“ ლიდერებმა ისე დააანონსეს, რომ მაქსიმალურად სცადეს მიხეილ სააკაშვილს გამიჯვნოდნენ და დაუმორჩილებლობა პიროვნული თავისუფლებით აეხსნათ”. - თქვა ჟურნალისტმა.

ეს კონკრეტული მასალა იმითაა საინტერესო, რომ ჟურნალისტმა სრულად გაიმეორა სახელისუფლებო მესიჯბოქი მელიას საქმესთან დაკავშირებით, -- როგორც კაპიტოლიუმში შეჭრის ფაქტის იდენტური საქმე. „გირაოს გადახდას რომ კანონი ითხოვს, ფაქტია. კანონი ასევე მოქმედებს ჯარიმის შემთხვევაშიც. შეზღუდვების წინააღმდეგ დასავლური დემოკრატიის ქვეყნებშიც აწყობენ აქციებს, თუმცა არცერთ დასავლელ ლიდერს კანონდარღვევა არ გაუმართლებია, არათუ არ უცდია, პოლიტიკური გამართლება ეძებნა კაპიტოლიუმში შეჭრის მცდელობისთვის. თუმცა საქართველოში პარლამენტის შენობაზე მიტანილი იერიშიცა და ამ შენობის დაკავების თაობაზე გაკეთებული მოწოდების საფუძველზე ნიკა მელიასთვის წაყენებული ბრალიც ოპოზიისთვის მარტივად იქცა პოლიტიკურ დევნად“.

ინფორმაციის მიჩქმალვის ფაქტს ჰქონდა ადგილი „მოამბეში“ 25 თებერვალს. ინფორომაცია ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვების 51-ე წუთზე გავიდა კადრსინქრონად ; ამასთან, „მოამბის“ მაყურებელი ვერ გაიგებდა, რომ ჟურნალისტი მასზე თავდასხმას პროფესიულ საქმიანობას უკავშირებდა.

52-ე წუთზე ასევე კადრსინქრონად იყო აშშ-ს საელჩოს, პრემიერის, პრეზიდენტის და თალაკვაძის გამოხმაურება. მეორე დღეს, 39-ე წუთზე ასევე ზედაპირულად გაშუქდა ამბავი იმის შესახებ, რომ თავდასხმაში ბრალდებულებს პატიმრობა შეუფარდეს .

ამ დღეს არაერთი განცხადება გაკეთდა, რომელიც ამ პროცესში ხელისუფლების რიტორიკასა და პასუხისმგებლობას შეეხებოდა, თუმცა მასალაში ეს კონტექსტი საერთოდ

არ ჩანდა. პირიქით, საკითხი ისე იყო მიწოდებული, თითქოს საქმე დროულად გამოიძიეს და დამნაშავეები დააკავეს.

„თავდასხმა მოხდა ჟურნალისტ ვახო სანაიაზე. ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტის მიმართ მომხდარი ჯგუფური ძალადობის ბრალდებით უკვე დაკავებულია 3 ადამიანი”. - ასე იწყებოდა ამბის მოყოლა.

არხმა მაყურებელს შესთავაზა ინფორმაცია პრემიერის, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრეზიდენტის გავრცელებულ განცხადებებზე, თუმცა მაყურებელს არ მოუსმენია არცერთი ოპოზიციონერის და არც სახალხო დამცველის კომენტარი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზია“

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ 20 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზიის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მთავარი“.

„აჭარის ტელევიზიის“ საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. „ქართული ოცნება“ გაშუქდა ყველაზე ნეგატიურად (დროის 12 % უარყოფითი ტონით).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

შინაარსობრივი შედეგები

აჭარის ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვება მრავალფეროვანია. შუქდება პოლიტიკა, ეკონომიკა, ბიზნესი, სოციალური თემატიკა . „მთავარის“ გამოშვებების დროის უდიდესი ნაწილი ცენტრალურ ამბებს ეთმობა, გადაცემების უმრავლესობაში კი გამხსნელი სიუჟეტი თბილისში მიმდინარე პოლიტიკურ თემებია და რეგიონში მიმდინარე ამბები ხშირად მეორე პლანზეა გადასული.

აჭარის ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვება მეტ-ნაკლებად ნეიტრალური და დაბალანსებულია, პოლიტიკური თემების გაშუქებისას არხზე სათანადოდაა წარმოჩენილი მმართველი პარტია და ოპოზიციაც. თუმცა აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვების ეთერში თითქმის არ გვხვდება კრიტიკული სიუჟეტები ხელისუფლების მიმართ, არხი არ ეძებს და მაყურებელს არ სთავაზობსსაკუთარ, ექსკლუზიურ თემებს, სადაც ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ხარვეზებსა და პრობლემებზე იქნება საუბარი.

მონიტორინგის პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე ინტენსიურად პარტიებს შორის დიალოგისა და ნიკა მელიას საქმეთან დაკავშირებული

თემები გაშუქდა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური ბალანსი თითქოს ყოველთვის დაცული იყო, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ რიგ შემთხვევებში სარედაქციო პოლიტიკა სამთავრობო გუნდის და მმართველი პარტიის მიმართ მიკერძოებული იყო. მაგალითად,, არხის სახელისუფლებო გუნდის მიმართ არაკრიტიკულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს 18 თებერვალს გასული სიუჟეტი (1:20), რომელიც „ქართული ოცნების" მიერ საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატად, ირაკლი ღარიბაშვილის წარდგენას ეხებოდა. მასალის ძირითადი ნაწილი მის ბიოგრაფიულ მონაცემებსა და მმართველი პარტიისა და ოპოზიციის კრიტიკულ კომენტარებს დაეთმო. თუმცა არ დაისვა ის კითხვები, რომლებიც ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ წარსულში, პრემიერად ყოფნისას არსებობდა: ე.წ. კახურ კლანზე, ტენდერებში მისი ახლობლების გამარჯვებაზე, გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებზე და პრემიერობიდან მის გადადგომაზე, რაც ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასთან იყო შეთანხმებული. საბოლოოდ, ღარიბაშვილის წარდგენა გაშუქდა სამთავრობო რიტორიკის შესაბამისად და არხს არ მოუმზადებია ობიექტურ ფაქტებზე, დამოუკიდებელ აქტორებზე დაფუძნებული სიუჟეტი ახალი პრემიერის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ 18 თებერვალს აჭარის ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვების პირველი სიუჟეტი გიორგი გახარიას გადადგომაკი არა, არამედ „ქართული ოცნების" მიერ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერად წარდგენა იყო.

17 თებერვალს, მაშინ, როცა „აჭარის ტელევიზიის" ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვება გადიოდა, თბილისის საქალაქო სასამართლო ნიკა მელიასთვის პატიმრობის შეფარდების საკითხზე მსჯელობდა. აშკარა ტენდეცია გამოიკვეთა სტუმრის ბლოკში, როდესაც პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე ხელისუფლების მწვავე კრიტიკას იწყებდა (13:00-18:00), მაგალითად, ადარებდა ბელარუსის ანდა პუტინის რეჟიმს, წამყვანი მყისიერად აწყვეტინებდა საუბარს.

"ის გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება სასამართლომ მიიღოს, პირდაპირ შეფასდება, როგორც დღევანდელობის, ასევე, ისტორიის მიერ, როგორც ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის დევნა ხელისუფლების მხრიდან. ეს - იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლებამ არ დასაჯა ის ადამიანები, რომლებმაც 2019 წლის 20 ივნისს გადამეტებული ძალის გამოყენების შედეგად ახალგაზრდებს თვალები დასთხარეს", - ამბობდა ხათუნა ლაგაზიძე და აგრძელებდა საუბარს, რა დროსაც წამყვანმა ასეთი კითხვა დაუსვა:

"გირჩის ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, რომ მიშას თამაში უფრო არის ნიკა მელიას დაკავება. ვის წისქვილზე დაასხამს წყალს ამ შემთხვევაში, თუ სასამართლო გამოიტანს გამოიტანს ამგვარ გადაწყვეტილებას, რომ ნიკა მელია დააკავონ. ამას მოჰყვება, ალბათ, დიდი საპროტესტო ტალღა და ხელისუფლებას ეს, პრინციპში, არ უნდა აწყობდეს, უხეშად რომ ვთქვათ., თქვენ როგორ ფიქრობთ,, გადაწყვეტილება რომელ მხარეს როგორ ურჩევნია ამ შემთხვევაში?"

მაშინ, როცა სტუმარი „ნაციონალურ მოძრაობის“ ოფისში ხელისუფლების მხრიდან მელიას დასაკავებლად მოსალოდნელ სპეცოპერაციაზე საუბრობდა, წამყვანმა რეპლიკის სახით თქვა:

“თუმცა არ შეიძლება, ამას ეწოდოს ალბათ სპეცოპერაცია, სამართალდამცავები, ალბათ, მივლენ კანონის აღსასრულებლად იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება”.

რადიკალურად განსხვავებული იყო წამყვანების ქცევა იმავე გადაცემაში მონაწილე მეორე სტუმრის ვლადიმერ ბოჟაძის მიმართ, რომელიც აშკარად ოპოზიციის წინააღმდეგ იყო განწყობილი და მწვავედ აკრიტიკებდა მათ, წამყვანები ამ შემთხვევაში პირიქით იქცეოდნენ - სტუმარს ოპოზიციის კრიტიკაში წამქეზებელი შეკითხვებით ეხმარებოდნენ.

მაშინ, როცა სტუმარი ოპოზიციის მხრიდან დესტაბილიზაციის საშიშროებაზე, ხელახალ „20 ივნისსა“ და მუქარაზე საუბრობდა, წამყვანმა ასეთი კითხვა დასვა:

“დღეს ოპოზიციონერი ლიდერები ამბობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიღებს ნიკა მელიას დაკავების გადაწყვეტილებას, ისინი არ მისცემენ ამის უფლებას სამართალდამცავებს, რომლებიც, ალბათ, კანონის აღსრულებისთვის მივლენ იქ, „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში. რა გზავნილია ეს ოპოზიციის მხრიდან?” საინფორმაციო გამოშვების წამყვანების მხრიდან მიკერძოება გამოვლინდა 3 თებერვალს, მოწვეული სტუმრის ბლოკშიც. „გირჩის“ ლიდერის , იაგო ხვიჩიასთვის კითხვების ერთი ნაწილის დასმის დროს ძირითადი აქცენტი „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან დადანაშაულებაზე კეთდებოდა. იმის მიუხედავად, რომ სტუმარი „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ პასუხისმგებლობაზე საუბრობდა, აქცენტი მაინც ოპოზიციაზე კეთდებოდა.

23 თებერვალს დღის მთავარი თემა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკა მელიას დაკავება იყო. დაკავების შესახებ სიუჟეტი „სპეცოპერაცია გამთენიისას“ „აჭარის ტელევიზიის“ ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან 38-ე წუთზე გავიდა. მასალაში სრულად არ ჩანდა სამართალდამცავების ოდენობა, რაც ამბის მოყოლის დროს მნიშვნელოვანი გარემოებაა.

აღსანიშნავია, რომ მთავარი საინფორმაციო გამოშვება სრულად თითქმის ამ საკითხს დაეთმო. მათ შორის პირველი მასალა ნიკა მელიას დაკავების შემდეგ გამართულ აქციას შეეხებოდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც არ ჩანდა აქციის მასშტაბი. ჟურნალისტი ერთვებოდა ცარიელი რუსთაველის გამზირიდან, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან, სადაც მხოლოდ ორი კარავი იყო გაშლილი. ჟურნალისტმა შესთავაზა აქციაზე გამომსვლელთა კომენტარები, თუმცა ყურადღება არ გამახვილებულა მნიშვნელოვან დეტალზე - საპროტესტო აქციაზე გამოსული ხალხის რაოდენობაზე.

მთავარი არხი

რაოდენობრივი შედეგები

„მთავარი არხის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „9 საათზე“, „შაბათის მთავარს“ და „პოსტ ფაქტუმს“.

ყველაზე მეტი დრო ამ არხის ეთერში „ქართულ ოცნებას“ დაეთმო (დროის 56 % ნეგატიური ტონი). „მთავარი არხი“ ყველაზე დადებითად აშუქებდა მიხეილ სააკაშვილს (დროის 14 % პოზიტიური ტონი) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (14% პოზიტიური ტონი).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდა.

შინაარსობრივი შედეგები

„მთავარი არხი“ ხელისუფლებისადმი მკვეთრად კრიტიკული არხია. მისი სარედაქციო პოლიტიკა ხელისუფლების და მმართველი პარტიის უარყოფითად წარმოჩენას ემსახურება. ხშირად უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდება დისკრედიტაციულ გაშუქებასა და ტერმინოლოგიაში, რასაც არხზე გამუდმებით იყენებენ მმართველი პარტიის მიმართ.

არხი მიკერძოებულია ოპოზიციის, კერძოდ, ,,ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ. „მთავარი არხის“ მაყურებლისთვის მთავარი ოპოზიცია არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ვინაიდან არხზე ამ პარტიის წარმომადგენლები ყველაზე ხშირად ჩანან და, ამავდროულად, „ნაციონალურ მოძრაობას“ მოიხენიებენ „მთავარ ოპოზიციურ პარტიად“.

„მთავარი არხი“ გამოირჩევა ექსკლუზიური თემებით, კრიტიკული სიუჟეტებით, ადამიანის უფლებებსა და კორუფციასთან დაკავშირებული თემების ხშირი გაშუქებით.

მთავარი არხი ხშირად არღვევს მიუკერძოებელი ეთიკური ჟურნალსტიკის სტანდარტებს. გარდა იმისა, რომ წამყვანები და ჟურნალისტები ავრცელებენ დაუსაბუთებელ, ზოგჯერ მანიპულაციურ ინფორმაციას, ისინი არ ერიდებიან ხელისუფლების და მმართველი პარტიის წარმომადგნელების მიმართ ისეთი შეურაცხმყოფელი, უხამსი ეპითეტების გამოყენებას, როგორებიცაა, მაგალითად, „ივანიშვილის პოლიტიკური ხროვა“ ან „სორბონაში განავალი“ .

არხს აქვს გარკვეული მესიჯბოქსი —ტერმინოლოგია: ბიძინა ივანიშვილის კლანი, ოლიგარქიული რეჟიმი, ივანიშვილის ქართული ოცნება, ივანიშვილის პოლიტიკური კლანი.

„მთავარი არხის“ ჟურნალისტები, რიგ შემთხვევებში, „ქართულ ოცნებას“ „რუსულ ოცნებად“ მოიხსენიებენ და ბიძინა ივანიშვილის, სავარაუდოდ, პრორუსულობის ხაზგასასმელად კი „ბორის ივანიშვილად“. ამავდროულად, არხი მიკერძოებულია საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ. მისი არცერთი განცხადება და ქმედება არხზე კრიტიკული პათოსით არ შუქდება და ის მუდმივად პოზიტიურ ან ნეიტრალურ კონტექსტშია წარმოჩენილი.

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად ნიკა მელიას დაკავების და ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი გაშუქდა.

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის გაშუქებისას მუდმივად აღნიშნავენ, რომ „ქვეყანაში ხელისუფლება მიტაცებულია“ და „არჩევნები გაყალბდა“. ამასთან, პარლამენტის ბოიკოტირების და მოლაპარაკებების თემა „მთავარ არხზე“ შუქდებოდა

იმგვარი აქცენტით, რომ მოლაპარაკებების ჩაშლაში მთავარი დამნაშავე მმართველი პარტია „ქართული ოცნებაა“ და, განსაკუთრებით, ბიძინა ივანიშვილი, რომლის გარეშე „ოცნების“ წევრები ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებენ. „ოპოზიცია კი დარწმუნებულია, რომ ევროკავშირისთვის უარის თქმა პირადად ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებაა და თბილისური წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ ბრიუსელში ცხადად დაინახავენ საქართველოში დამყარებულ არაფორმალურ მმართველობას“, - ასეთი ტექსტით წარადგინა წამყვანმა 19 მარტს გასული სიუჟეტი „ჩაშლილი მოლაპარაკება - ვისი ბრალია“.

ასევე, 20 მარტს, სიუჟეტში „ოცნების სიძულვილის ენა“, ავტორი ამბობს, რომ „აკო მინაშვილის რამდენიმე დღის წინანდელი ვარაუდი გამართლდა, შეთანხმება ვერ შედგა, რაზეც პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება „ქართულ ოცნებას“, რომელიც არანაირ დათმობაზე არ წავიდა, არც ვადამდელი არჩევნების დანიშვნაზე დათანხმდა და არც პოლიტპატიმრების გათავისუფლებას...“

მიკერძოებულად გაშუქდა 24 მარტს აშშ-ის სენატორ ჯინ შაჰინის მოწოდებაც. ჯინ შაჰინმა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შეთანხმებისკენ მოუწოდა, ხაზი გაუსვა საარჩევნო რეფორმის ჩატარების საჭიროებას და აღნიშნა, რომ „ყოველი დღე, რომელსაც ოპოზიციის ლიდერები ციხეში ატარებენ და ყოველი დღე, როცა პარლამენტის სკამები ცარიელია, რუსეთის გამარჯვებაა“.

ამ თემის გაშუქებისას, სენატორის განცხადების ნაწილი „როცა პარლამენტის სკამები ცარიელია, რუსეთის გამარჯვებაა“ ახსენა მხოლოდ გადაცემის წამყვანმა პაატა იაკობაშვლმა თემის წარდგენისას, სიუჟეტში „გამაფრთხილებელი გზავნილები სენატიდან“ კი განცხადების ამ ნაწილზე ყურადღება აღარ გამახვილებულა. თემის მთავარი აქცენტი იყო ოპოზიციონერების პატიმრობა, ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი უნდა გააკეთოს პოლიტიკური კრიზისიდან გამოსასვლელად, „ოლიგარქი ივანიშვილი უნდა წავიდეს დათმობაზე და საქართველომ უნდა შეწყვიტოს სვლა ტოტალიტარიზმისკენ“. იგივე აქცენტები იყო ამავე დღეს, ამავე თემაზე მომზადებულ მეორე სიუჟეტში, „გზავნილები სენატიდან - შეფასებები თბილისში“, რომელიც უკვე თბილისში გაკეთებულ შეფასებებს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეფასებებით დაიწყო.

ნიკა მელიას საქმე

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად ნიკა მელიას საქმე გაშუქდა. ამასთან, არხის მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა კიდევ უფრო თვლსაჩინო გახდა.

17 თებერვალს ნიკა მელიას სასამართლო პროცესი პირდაპირ ეთერში გადაიცა, - მაყურებელს შესთავაზეს როგორც სასამართლო სხდომა, ასევე პირდაპირი ჩართვა „ნაციონალური

მოძრაობის“ ოფისიდან პატიმრობის შეფარდების შემდეგ და პოლიტიკური შეფასებები. მაუწყებლობა საგანგებო ეთერით გავრცელდა. მოსამართლის სათათბიროდ გასვლის შემდეგ (21:52) ეთერში დაბრუნებულმა წამყვანებმა განაცხადეს, რომ: „ჰიბრიდული რეჟიმიდან საბოლოო ავტორიტარიზმამდე ბოლო ნაბიჯები რჩება...“ „გავრილოვის ღამე დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში გრძელდება, ფაქტობრივად. გრძელდება ისე, როგორც ეს ბიძინა ივანიშვილმა კრემლში თავის მთავარ მოკავშირესთან ერთად დაგეგმა“.

„მთავარი არხის“ ეთერში ნიკა მელას დაპატიმრების გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ გაჩნდა წარწერა „დიქტატურა დამყარდა“, „ქართული ოცნების“ დეპუტატებს კი გვარის ნაცვლად ეწერათ „გავრილოვი“.

ეს ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა, როცა მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ტიტრებში რუსეთის დუმის დეპუტატის გვარი - „გავრილოვი“ ეწერათ. ასე იყო 23 თებერვლის ეთერშიც.

23 თებერვალს ჰედლაინების ნაცვლად საინფორმაციო გამოშვება დაიწყო ნიკა მელიას დაკავების ოპერაციის კადრების კომპილაციით. მაყურებელს უკომენტაროდ და „მძაფრი მუსიკით“ შეფუთული კადრები შესთავაზეს. ტენდენციური იყო ამ დღეს ჟურნალისტების ტექსტებიც. მელიას დაპატიმრება რუსეთის ოკუპაციას გაუთანაბრეს და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისში, ნიკა მელიასთან მყოფი ხალხი კი „თავისუფლებისთვის მებრძოლებს“ .

„საუკუნის შემდეგ ჩვენ ისევ რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ვიბრძვით. ირაკლი ღარიბაშვილმა ბიძინა ივანიშილს იმედები არც ამჯერად გაუცრუა და მისი პრემიერად დანიშვნის მიზანიც წარმატებით შეასრულა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში თავი-სუფლების სიმბოლოდ ქცეული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ოფისი დარბეულია. ოლიგარქ ივანიშვილის რუსული ოცნების შესასრულებლად და საქართველოს ევროატლანტიკური პერსპერქტივის დასასამარებლად ხელისუფლებამ სპეცდანიშნულების რაზმები გამოიყვანა და შენობა, სადაც ნიკა მელია იმყოფებოდა, შტურმით აიღო“ (21:01); „გულუხვი საჩუქარი დიქტატორ ოლიგარქს. ქართულმა ოცნებამ საკუთარი პატრონის პატივმოყვარეობა სრულად დააკმაყოფილა. ხელისუფლებამ ოპოზიციის ლიდერი ივანიშვილისთვის უმნიშვნელოვანეს დღესასწაულზე დააპატიმრა - ეს დღე 23 თებერვალია, საბჭოთა ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი მთავარ სიმბოლო - საბჭოთა არმიის დღე. ამ სადამსჯელო სპეცოპერაციით „ქართული ოცნების“ გავრილოვებმა კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა სცადეს ქვეყნის რუსეთის ორბიტაზე დასაბრუნებლად და კრემლში საქართველოს ხელისუფლების ეს მცდელობა დაუფარავად მოიწონეს (22:13)“, - განაცხადა წამყვანმა.

ოპოზიციის პოზიტიურად წარმოჩენა

„მთავარ არხი“ პოზიტიურად აშუქებს ოპოზიციის აქტივობებს პოლიტიკური კრიზისის და პარლამენტის ბოიკოტის და მოლაპარაკებების ფონზე, ჟურნალისტები მათზე საუბრისას ამბობენ, რომ „მათ ვიწრო ინტერესები“ გვერდით გადადეს. 24 თებერვალი - „პოლიტიკოსები, რომლებმაც ვიწრო პარტიული ინტერესები გვერდით გადადეს და ერთად და ერთმანეთისთვის იბრძვიან, დარწმუნებულები არიან, რომ ნიკა მელიას ციხეში მხოლოდ მცირე დროის გატარება მოუწევს” (21:34). მსგავსი აქცენტებით 26 თებერვალი - “ხალხთან მდგომმა პოლიტიკოსებმა ვიწრო პარტიული ინტერესები უკვე გვერდზე გადადეს და კონკურენციაც დაივიწყეს. იციან, რომ ახლა საერთო და თან ქვეყნის მტერი მოსაშორებელია” (21:13).

ამავდროულად, „მთავარი არხი“ კრიტიკულია იმ ოპოზიციური პარტიების მიმართ, რომელთა აზრიც ოპოზიციის დიდი ნაწილის საერთო აზრისგან, შესაძლოა, განსხვავდებოდეს. მაგალითად, 3 თებერვალს მომზადებულ მასალაში (21:17) იმის მიუხედავად, რომ სიუჟეტის თემა იყო „მეხუთე რაუნდის მოლოდინში“, ალეკო ელისაშვილი და მისი პარტია „მოქალაქეები“ გააკრიტიკეს და ისინი „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებულად წარმოადგინეს.

„ალეკო ელისაშვილი სულ უფრო მეტად ექცევა „ქართული ოცნების“ გავლენის ქვეშ. საერთო ოპოზიციური პროტესტის მიუხედავად, პარლამენტში შესული დეპუტატი ახლა უკვე მმართველი უმრავლესობის პოზიციის გახმოვანებასაც იწყებს. “მოქალაქეების” ლიდერი, ისევე, როგორც „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ კრიზისში ოპოზიციას ადანაშაულებს...“ - თქვა წამყვანმა.

„მთავარი არხი“ აქტიურად აშუქებს COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისისა და მათ შორის ვაქცინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა იყო შემთხვევები, რომ ხელისუფლების და მმართველი გუნდის „უუნარობის“ წარმოსაჩენად დაუბალანსებელი მასალა გავიდა ეთერში.

„მმართველი გუნდი ისე იწყებს მათ ვაქცინაციას ნაკლებად ეფექტური პრეპარატით, რომ შედეგებზე არ ფიქრობს. ახლა „ქართული ოცნების“ მთავარი საზრუნავი არა ექიმების უსაფრთხოება, არამედ საზოგადოების კრიტიკისა და წნეხის პიარსვლებით გადაფარვაა“, - ამბობს ჟურნალისტი 12 მარტს გასულ სიუჟეტში “ექიმების უარი ვაქცინაციაზე” (21:35). ლეგიტიმური კითხვებისა და მათზე პასუხების გაცემის ნაცვლად ჩნდება ვაქცინის მიმართ უნდობლობა. არასწორი ინფორმაციაა წარმოდგენილი ვაქცინების დოზებზე და, ამასთან, არ ჩანს კონკრეტული მცდელობა იმისა, რომ ჟურნალისტი შეეცადა ამ ფაქტების გადამოწმებას და პასუხისმგებელი უწყებისგან კომენტარის მოპოვებას.

ერთი შეხედვით, ლეგიტიმური კითხვები იყო დასმული, თუმცა არხის მიერ გაკეთებული აქცენტებით სკეპტიციზმის გაღვივების ნიშნები იკვეთება 11 მარტს მომზადებულ სიუჟეტში „რა ვაქცინა შემოდის“ (21:45). „ფაიზერი“ მოხსენიებულია „ასტრაზენეკასთან“ შედარებით უფრო „ხარისხიანად“ თუმცა, რას ემყარება ეს დასკვნა, უცნობია.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტიკური ლიდერები, მაგალითად, სერგო ჩიხლაძე „სტრატეგია აღმაშენებლიდან“ და ვახტანგ სურგულაძე „ლელოდან“ ხელისუფლების კრიტიკის დროს წარმოდგენილები არიან, როგორც ექსპერტები და მათ პოლიტიკურ აფილაციაზე ტიტრშიც კი არ არის ინფორმაცია მითითებული.

იმედი

რაოდენობრივი შედეგები

„იმედის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკას“ 8 საათზე და „იმედის კვირას“.

„იმედზე“ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო და ყველაზე დადებითადაც ,,ქართული ოცნება” გაშუქდა (დათმობილი დროის 12 %-ით), ყველაზე უარყოფითად კი მიხეილ სააკაშვილი (დროის 84% დაეთმო ნეგატიურ შეფასებას) და პარტიებიდან „ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა (დროის 44 % დაეთმო ნეგატიურ შეფასებას).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდნენ

შინაარსობრივი შედეგები

„იმედი“ მკვეთრად გამოხატული სახელისუფლებო არხია, რაც გამოიხატება როგორც მმართველი პარტიისა და ბიძინა ივანიშვილის პოზიტიურად წარმოჩენაში, ასევე ოპოზიის დისკრედიტაციასა და ნეგატიურ გაშუქებაში. ოპოზიციიდან ნეგატიურ კონტექსტში ნაკლებად შუქდება პარტიები „მოქალაქეები“ და „ევროპელი სოციალისტები“ - ისინი ძირითადად წარმოჩენილები არიან, როგორც საქმიანები და კრიტიკულები.

ოპოზიციაზე საუბრისას ჟურნალისტები არ ერიდებიან ხშირ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი, მადისკრედიტირებელი ფრაზების გამოყენებას, რიგ შემთხვევებში კი ზუსტად იმეორებენ სახელისუფლებო რიტორიკას. „ევროპული საქართველოს“ ლიდერებზე საუბრის დროს ახსენებენ „უმანდატო ლიდერებს“, „ლელოს“ შემთხვევაში - „ბანკირების პარტიას“, ზოგადად ოპოზიციაზე საუბრის დროს კი „რადიკალებსა“ და „ურეიტინგო სუბიექტებს“. საინფორმაციო გამოშვებაში „გაქცეული პრეზიდენტი“ საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სინონიმად გამოიყენება, ის „გაქცეულ ექსტრემისტადაც“ მოიხსენიეს.

მიმდინარე პოლიტიკური საკითხებიდან ყველაზე აქტიურად „იმედზე“ პოლიტიკური დიალოგი და მოლაპარაკებებთან დაკავშირებული თემები გაშუქდა. ამ შემთხვევაში არხის მესიჯბოქსი იყო ის, რომ „ოპოზიცია ერთიანობას იჩემებს” და მათ მოიხსენიებენ, როგორც „ურეიტინგო სუბიექტებს“ და „კიევში დაწერილი სცენარის შემსრულებლებს“.

„იმედი“ ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების ჩაშლაზე პასუხისმგებლობას ოპოზიციას აკისრებს. ასე იყო 19 მარტსმომზადებულ სიუჟეტშიც, რომელსაც „ოპოზიციის ჩაშლილი მოლაპარაკება“ ერქვა.

“მიზანმიმართულად ჩაშლილი მოლაპარაკებები - ოპოზიციის დესტრუქციული ნაწილი სააკაშვილის პრინციპების ერთგული რჩება - ქუჩა, ვადამდელი არჩევნები და მსჯავრდებულების გათავისუფლება, რომლებსაც ე.წ. პოლიტპატიმრებად მოიხსენიებენ… მხარეებს შორის აზრების დასაახლოებლად შარლ მიშელის წარმომადგენელმა ყველანაირი ბერკეტი გამოიყენა, თუმცა ფაქტია, რომ ოპოზიციამ ევროპის მედიაციით დაწყებული მოლაპარაკებებიც ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის გამოიყენა… „ოპოზიცია ულტიმატუმებით და მოლაპარაკების მაგიდის აყირავებით ცდილობს, ევროპის კარი დახუროს. ეს ახლა სააკაშვილის პრიორიტეტია“, - თქვა წამყვანმა.

ტელეკომპანია „იმედი“ ოპოზიციის ბოიკოტს ამომრჩევლის ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების კონტექსტში აშუქებს, მანდატების გაუქმებაზე უარს კი - “ოპოზიციისთვის შანსად”. ასე იყო 2 თებერვალს გასულ სიუჟეტშიც (20:12), როცა პარლამენტში უმრავლესობამ ოპოზიციონერ წევრებს მანდატები არ გაუუქმა. აქვე იყო მინიშნება, რომ ოპოზიცია ერთიანი აღარ არის.

„პარლამენტის დღევანდელი გადაწყვეტილება შანსად ოპოზიციიდან ცოტამ მიიღო. უფრო მეტიც, ნაწილს კიდევ უფრო გაუმძაფრდა სურვილი, დაკარგოს მანდატი, რისთვისაც თვეების განმავლობაში იბრძოდა. მმართველი გუნდის კომპრომისების ფონზე უმეტესობისთვის არაფერი იცვლება, ისევ ისმის ვადამდელი არჩევნების ტრადიციული მოთხოვნა. მოკლედ, პარლამენტის გარეთ დარჩენის გარდა, ერთ დროს ერთიანებში საერთო აზრი აღარვის აქვს“, - ასე წარადგინა მასალა საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა.

ამ მასალას მოჰყვებოდა კიდევ ერთი სიუჟეტი (20:15), რომელიც უკვე მოგვითხრობდა „მოქალაქეების“ საპარლამენტო საქმიანობაზე და მას პოზიტიურად წარმოაჩენდა.

„იმედი“ აქტიურად აშუქებდა საარჩევნო რეფორმის საკითხებსაც, თუმცა ხშირად ერთსა და იმავე კონტექსტში, რომ ბოიკოტში მყოფი ოპოზიცია დესტრუქციულია, პარლამენტში შესული ნაწილი კი ცვლილებებზე ორიენტირებული. მაგალითად, 19 თებერვალს სიუჟეტი წამყვანმა ასე წარადგინა: “მოწოდების მიუხედავად, საარჩევნო რეფორმაზე ისევ მმართველი გუნდი და მხოლოდ ორი ოპოზიციური პარტია მუშაობს. ოპონენტების პოზიციების მიუხედავად, “ქართული ოცნება” კარს ისევ ღიად ტოვებს…” მასალა ისე გავიდა ეთერში, რომ ბოიკოტში მყოფი არცერთი ოპოზიციური პარტიის წარმოამდგენლის კომენტარი არ მოხვედრილა.

„იმედის“ მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა ნათლად გამოჩნდა 12 თებერვალს. მაშინ, როცა ქვეყანაში ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“

თავმჯდომარის, ნიკა მელიას დასაპატიმრებლად პროკურატურამ პარლამენტს დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნით მიმართა, ეს თემა საინფორმაციო გამოშვებაში მხოლოდ 20:20 საათზე გაშუქდა. ამ სიუჟეტის წინ გავიდა მასალები პარტია „ევროპულ საქართველოში" ლიდერების შეცვლასა და ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებაზე.

"ბიძინა ივანიშვილი დასავლელი ფილანთროპების სიას უერთდება. ფრანგული გამოცემა Contrepoints.org წერს ამის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი, ისევე, როგორც ილონ მასკი, ბილ და მელინდა გეითსები ამტკიცებენ, რომ საკუთარი ქონების გამოყენება ბევრნაირად შეიძლება სამყაროში ცხოვრების გასაუმჯობესებლად. სტატიაში ნათქვამია, რომ, როდესაც მიმდინარე წლის იანვარში მილიარდერი, საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრი პოლიტიკური ავანსცენიდან წავიდა, მან განაცხადა, რომ საკუთარი აქტივების 95 პროცენტზე მეტს, ანუ 1,5 მილიარდ დოლარის ღირებულების ქონებას ფონდ „ქართუს" უტოვებს, რითაც ის იმავე კატეგორიაში მოხვდა, რომელშიც ცნობილი ფილანთროპები...", - თქვა წამყვანმა და მაყურებელს „ქართული ოცნების" ლიდერების, არჩილ თალაკვაძისა და მარიამ ქვრივიშვილის კომენტარები შესთავაზა.

წამყვანს არაფერი უთქვამს ოპოზიციის მოსაზრებაზე, რომელებიც ფიქრობენ, რომ ივანიშვილმა ასე გადაწყვიტა ქონების გადარჩენა.

სწორედ ამ მასალის შემდეგ გავიდა სიუჟეტი ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნის შესახებ: „მელიას გირაოს ვადა ეწურება". მასალა ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილი იყო შეფასებები და პროცედურული ნაწილის ახსნა, მეორე კი საქმის გახსენება და კაპიტოლიუმში შეჭრასთან პარალელის გავლება. წამყვნმა თავისი ტექსტით შექმნა შთაბეჭიდლება, თითქოს ის ამ საქმეზე უკვე გასამართლებულია.

"ახლა კი რისთვის ცდილობს თავის არიდებას ნიკა მელია და რა სურს წარმოაჩინოს პოლიტიკურ საქმედ. „ნაციონალური მოძრაობა" და მისი ახალი თავმჯდომარე სამართლებრივი დავის პოლიტიკურ სივრცეში გადატანას და პოლიტიკურ სპეკულაციას კიდევ ერთხელ ცდილობენ. ნიკა მელია, რომელიც 20-21 ივნისის ღამეს პარლამენტის წინ შეკრებილებს საკანონმდებლო ორგანოში შეჭრისაკენ პირდაპირ მოუწოდებდა და დრამატული მოვლენებიც გამოიწვია, ცდილობს, მომხდარის გამო სამართლებრივ პასუხისმგებლობას გაექცეს. რომ არა მისი წაქეზება, მშვიდობიანი მოქალაქეები მაშინ არ დაზარალდებოდნენ... ოპოზიცია დღემდე ცდილობს, ეს პოლიტიკური ოპონენტების დევნად წარმოაჩინოს მას შემდეგაც, რაც აშშ-ში კაპიტოლიუმზე თავდასხმამ ნათლად აჩვენა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში შეჭრა ყოველთვის არ ნიშნავს ფერად ან ხავერდოვან რევოლუციას, რომ ეს არის შიდა ტერორიზმი… სწორედ ასეთ პროცესებს ჰქონდა ადგილი თბილისში 20-21 ივნისი ღამეს," - თქვა წამყვნმა. მის ნათქვამს კი ფონად გასდევდა პარლამენტის წინ ნიკა მელიას მონაწილეობით დაპირისპირებისა და კაპიტოლიუმში შეჭრის კადრები.

„იმედის“ საინფორმაციო გამოშვებაში ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარის, ნიკა მელიას წინააღმდეგ მასალების მომზადებას კამპანიური ხასიათი ჰქონდა.

კიდევ ერთი მაგალითია 14 თებერვალს “იმედის კვირაში” გასული პირველივე სიუჟეტი „პოლიტიკური ხულიგნობა“. „საბედნიეროდ, ჩვენთან ადამიანები არ დაღუპულან, თუმცა დაშავდნენ. ეს ნიკა მელიას საძმოს დამსახურებაა და პასუხისმგებლობა“, - ასეთი მიკერძოებული იყო წამყვანის ტექსტი სიუჟეტის წინ.

საინფორმაციო გამოშვების მიმდინარეობის დროს „იმედი“ დროდადრო სთავაზობდა მაყურებელს ნიკა მელიას სასამართლო პროცესიდან პირდაპირ ეთერს. “სხდომა რამდენიმე ტელეარხის ეთერში გადაიცემა, რაც კანონით არ არის დაშვებული”, - განაცხადა წამყვანმა ჟურნალისტის წარდგენისას, მაშინ, რომდესაც სასამართლოდან სხდომის პირდაპირი ტრანსლირება მოსამართლის ნებართვით იყო დაშვებული.

ეს შემთხვევა არ ყოფილა „იმედზე“ გაშუქებული სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული. იმ დღეს, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოში ნიკა მელიას საქმე განიხილებოდა, „იმედზე“ მისი ადვოკატების შესახებ მომზადებული სიუჟეტი (9:30) გავიდა. სიუჟეტის წარდგენისას ნიკა მელიას ადვოკატები „სააკაშვილის გუნდის აქტიურ წევრებად“ მოიხსენიეს. მასალა ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ადვოკატების კრიტიკა მელიას დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

„და ახლა ვნახოთ, ვინ იცავს მელიას ინტერესებს. ბასილაია, კონდახიშვილი, საძაგლიშვილი - სამივე ადვოკატი სააკაშვილის გუნდის აქტიური წევრია. არჩევნებში მარცხის შემდეგ საგამოძიებო უწყების თანამშრომლები ყოფილი მაღალჩინოსნების დაცვით დაკავდნენ…“ - თქვა წამყვანმა და სიტყვა გადასცა სიუჟეტის ავტორს.

„მოგიყვებით, როგორ იქცნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ადეიშვილის პროკურატურის პროკურორები და გამომძიებლები უფლებადამცველებად…” - თქვა ჟურნალისტმა და გავიდა დაზარალებულის სტატუსით ჩაწერილი ბიზნესმენის, ვალერი შოშიაშვილის კომენტარი, რომელიც ბექა ბასილაიას ადანაშაულებდა. ასევე მოიყვანეს პირი, რომელიც გიორგი კონდახიშვილს წარსულში ბიზნესის წართმევაში მონაწილეობაში ადანაშაულებდა.

“ეს ადამიანები ახლა კანონის სახელით პოლიტიკურ დევნაზე საუბრობენ და თემიდის წინაშე იცავენ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების წარმომადგენლებს“, - თქვა ჟურნალისტმა.

„იმედი“ განსაკუთრებით უარყოფით ტონში აშუქებს საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს. არხმა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის დისკრედიტაციისთვის გამოიყენა “TV პირველის“ მიერ გავრცელებული ჩანაწები, სადაც მოქმედი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილისა და მმართველი პარტიის დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის შვილის, ბერა ივანიშვილის საუბარია ასახული.

ფარულ ჩანაწერებზე, რომელთა შინაარსშიც ოპოზიციამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველმა შესაძლო დანაშაულის ნიშნები დაინახეს, 6 მარტს "ქრონიკის" ეთერში გავიდა სათაურით "[სააკაშვილის შავი არქივი](")".

„გაქცეულმა პრეზიდენტმა შავი არქივი გახსნა… ის, რაც „ქართულმა ოცნებამ" გაანადგურა, შეინახა სააკაშვილმა…" - თქვა სიუჟეტის დასაწყისში ჟურნალისტმა.

ჟურნალისტი ცალსახად იმეორებს ხელისუფლების პოზიციას, რომ ეს ჩანაწერები წინა ხელისუფლების გაკეთებულია, ისე, რომ არ წარუდგენს მაყურებელს არანაირ მტკიცებულებას. აღსანიშნავია, რომ საუბრის ჩაწერის ზუსტი თარიღი საგამოძიებო უწყებებს არ დაუსახელებიათ.

პალიტრა ტვ

რაოდენობრივი შედეგები

„პალიტრა ტვ"-ს ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 20 საათზე. სამონიტორინგო პერიოდში „პალიტრა ტვ"-მ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას" დაუთმო. ყველზე ნეგატიურად არხი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" წარმოაჩენდა (დროის 19 % უარყოფითი ტონით).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდა.

შინაარსობრივი შედეგები

„პალიტრანიუსი“ დროის უდიდეს ნაწილს უთმობს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ამბებს, ეთერს უთმობს სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტებს, ყველაზე ხშირად კი „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“.

„პალიტრანიუსის“ საინფორმაციო გამოშვება თემატური სიმწირით გამოირჩევა, არხზე არ გხვდება ექსკლუზიური, სიღრმისეული რეპორტაჟები. ძირითადად აშუქებენ პოლიტიკოსთა განცხადებებს.

„პალიტრანიუსი“ საინფორმაციო გამოშვებებში მხოლოდ ფაქტების აღწერით შემოიფარგლება. ავტორები მაყურებელს მოვლენის შესახებ განსხვავებულ აზრს ან ჩართული მხარის პოზიციას ნაკლებად სთავაზობენ. ჟურნალისტის ტექსტი და რესპონდენტის კომენტარი, რომელიც მას მოჰყვება, ყოველთვის თანხვდება ერთმანეთს. სიუჟეტებში აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ დიდწილად გამოყენებულია სახელმწიფო სტრუქტურების პრესსამსახურების მიერ გადაღებული ვიდეოკადრები.

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად გაშუქდანიკა მელიას საქმე და ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური

მოლაპარაკებების პროცესი . ამ დროს არ შეიმჩნეოდა მიკერძოება რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ, თუმცა იყო რამდენიმე გამონაკლისიც.

14 მარტს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ ოპოზიცია ევროპის საბჭოს წარმომადგენელთან გამართული შეხვედრებიდან ინფორმაციის გამოტანაში და შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულა. ეს თემა მოხვდა „პალიტრანიუსის“ საინფორმაციო გამოშვებაშიც, თუმცა არ ისმოდა ოპოზიციური პარტიების მოსაზრებები.

საინფორმაციო გამოშვების ფორმატიდან გამომდინარე, არ იყო ახსნილი, ეს სიმართლე იყო თუ ტყუილი და, შესაბამისად, გამოვიდა, რომ არხმა მაყურებელს უკრიტიკოდ შესთავაზა მხოლოდ ხელისუფლების პოზიცია.

9 თებერვალს „პალიტრანიუსმა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დისკუსია ბარიერის დსაწევასთან დაკავშირებით არასრულყოფილად გააშუქა. მასალაში საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რომ მმართველი პარტია ოპოზიციისგან პასუხს ელოდება. არაფერი თქმულა „გირჩის“ პოზიციაზე, რომელიც ამბობდა, თუ ხელისუფლება უბარიერო არჩევნებს შემოგვთავაზებს, პარლამენტში შევალთო.

„პალიტრნიუსმა“ სამონიტორინგო პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე თემა, ბერა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის სატელეფონო დიალოგის გავრცელებული ჩანაწერები, ორი დღის განმავლობაში 7 და 8 მარტს ისე გააშუქა, რომ მაყურებელს საერთოდ არ შესთავაზა ჩანაწერების ფრაგმენტები. თუ ამ არხის მაყურებელს სხვა ტელევიზიის ეთერში არ ჰქონდა მოსმენილი ეს აუდიოჩანაწერი, „პალიტრანიუსის“ ეთერით სრულყოფილ ინფორმაციას ვერ მიიღებდა.

„ცნობისათვის, „TV პირველის“ ინფორმაციით, მათ მოიპოვეს ფარული აუდიოჩანაწერი, რომლითაც, მათივე მტკიცებით, მომღერალი ბერა ივანიშვილი, სავარაუ,დოდ, სახელმწიფო დაცვის ამჟამინდელ ხელმძღვანელს, ანზორ ჩუბინიძეს იმ ახალგაზრდების დასჯას სთხოვს, რომელთაც ინტერნეტში ივანიშვილის შეურაცხმყოფელი კომენტარები დაწერეს...”. - ისმის 8 მარტის საინფორმაციო გამოშვებაში.

მასალაში არ თქმულა, რომ ბერა ივანიშვილი ბიძინა ივანიშვილის შვილია. ირაკლი ღარიბაშვილი რომ პრემიერია, ეს ისმის მხოლოდ სინქრონში და არა ჟურნალისტის ტექსტში.

ფორმულა

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ „ტვ ფორმულას“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას, „ფორმულა NEWS“-ს, „შაბათის ფორმულას“ და გადაცემა „დროებას“. მთელი პერიოდის განმავლობაში „ფორმულაზე“ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო (დროის 50 % ნეგატიური ტონით). ყველაზე უარყოფითად კი ბიძინა ივანიშვილი გაშუქდა (დროის 74 % ნეგატიური ტონით). ყველაზე დადებითად „ფორმულაზე“ „ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა (დროის 15% დადებითი ტონით).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდა.

შინაარსობრივი შედეგები

„ფორმულა“ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი არხია. განსაკუთრებით კრიტიკულად არხი ბიძინა ივანიშვილს და მმართველი პარტიის საქმიანობას აშუქებს. არხის წამყვანებისა და ჟურნალისტების ტექსტებში იგრძნობა უარყოფითი დამოკიდებულება პარლამენტში შესული ოპოზიციონერების, განსაკუთრებით ალეკო ელისაშვილისა და ლევან იოსელიანის მიმართ.

„ფორმულა NEWS“-ის სიუჟეტებში, როგორც წესი, იცავენ ბალანსისა და მრავალმხრივობის ჟურნალისტურ სტანდარტს. პოლიტიკის შესახებ მომზადებულ თითქმის ყველა სიუჟეტში წარმოდგენილია ორი ან მეტი მხარე, შედარებით იშვიათად ჩანან სფეროს ექსპერტები, ე.წ პოლიტოლოგები.

არხი, საკუთარი მკვეთრად ოპოზიციური დამოკიდებულების მიუხედავად, მეტწილად ეთიკური ნორმების დაცვით ამზადებს მასალებს, თუმცა იყო გამონაკლისებიც. მაგალითად, 5 მარტის საინფორმაციო გამოშვებაში ბიძინა ივანიშვილი მოხსენიებულია „ოლიგარქად“, პარალამენტში შესული ოპოზიციონერი დეპუტატები კი „ე.წ. ოპოზიციად“.

არხი ზოგჯერ მიმართავს მანიპულაციის ელემენტებსაც. მაგალითად, როცა „ქართულ ოცნებაზე“ საუბრობენ, აჩვენებენ კადრს, სადაც ბიძინა ივანიშვილის ტაშს ურავს.

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს შორის ყველაზე ინტენსიურად ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებები და საპროტესტო აქციები გაშუქდა. ამასთან, ამ საკითხების გაშუქებისას ზოგჯერ ირღვეოდა ეთიკური სტანდარტები. მაგალითად, მანიპულაციური და დაუბალანსებელი იყო 16 თებერვალს გასული სიუჟეტი ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნის შესახებ.

საინფორმაციო გამოშვებაში პარლამენტში საკომიტეტო მოსმენაზე ნიკა მელიას ადვოკატების პარლამენტში არშეშვება განმარტებების გარეშე გავრცელდა.

„პარლამენტის მიმდებარედ იყვნენ ნიკა მელიას ადვოკატები. ისინი კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად მივიდნენ თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ საწინააღმდეგო აზრის მოსმენა არ ისურვა. პარლამენტის კარი მათთვისაც დახურა... ადვოკატებისთვის ვერა, თუმცა პროკურორისთვის და მისი თანმხლები პირებისთვის ადგილის მოძებნა „ქართულ ოცნებას“ არ გასჭირვებია. საკომიტეტო მოსმენაზე ნიკა მელიას პოლიტიკური სასამართლო მოეწყო. დაისვა რამდენიმე შეკითხვა. კრიტიკული - არცერთი“. - განაცხადა სიუჟეტის ავტორმა.

აღსანიშნავია, რომ სიუჟეტში მაყურებელმა ვერ იხილა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ანრი ოხანაშვილის განმარტება ამ საკითხზე (ეს მასალა მოხვდა თავად „ფორმულას“ ვებგვერდზე).

მანიპულაციურად შეიძლება ჩაითვალოს სიუჟეტის კიდევ ერთი ნაწილი. ჟურნალისტმა ყოველგვარი განმარტების გარეშე პერფორმანსი, როგორც ფაქტი, ისე შესთავაზა მაყურებელს. საკომიტეტო მოსმენის დროს პარლამენტთან მისული იყო პოლიტიკოსი ელენე ხოშტარია, რომელიც ამბობდა, რომ სერგეი გავრილოვისგან ირაკლი კობახიძის სახელზე მადლობის წერილი იყო მოსული. „სერგეი გავრილოვის წერილი ადრესატამდე ვერ მივიდა. ელენე ხოშტარია პარლამენტის კანცელარიამდე არ მიუშვეს“. - თქვა ჟურნალისტმა.

„ფორმულას“ საინფორმაციო პოლიტიკიდან იკვეთება, რომ რედაქციას არ სჯერა ბიძინა ივანიშვილის განცხადებისა პოლიტიკიდან წასვლის შესახებ და ქვეყანაში მიმდინარე უარყოფით მოვლენებზე კვლავ ივანიშვილს მიიჩნევს პასუხისმგებლად. მაგალითად, 2 მარტს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის გაშუქებისას „ფორმულა NEWS“-ის“ გუნდმა აღნიშნა, რომ შარლ მიშელის საქართველოში ყოფნის დროს პრემიერმინისტრ ღარიბაშვილს ტონი შერბილებული ჰქონდა, მიშელის წასვლის შემდეგ კი ღარიბაშვილს ტონი ისევ კატეგორიული გაუხდა. ღარიბაშვილის ტონის გამკაცრება „ფორმულამ“ ბიძინა ივანიშვილს დაუკავშირა: „შარლ მიშელის წასვლის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა იმიჯი დაიბრუნა… მათ [ოპოზიციამ] ზუსტად იციან, რომ რამდენიმე საათით კონსტრუქციული პოლიტიკოსის მორგებული ნიღაბი ღარიბაშვილს ივანიშვილმა ჩამოხსნა“. - ამ სიტყვებით წარადგინა წამყვანმა სიუჟეტი მოლაპარაკებების შესახებ. იმის მიუხედავად, რომ სიუჟეტი, ერთი შეხედვით, ნეიტრალური და დაბალანსებულია, ის

მაინც აჩენს ნეგატიურ განცდას მმართველი პარტიის მიმართ და იმეორებს ოპოზიციის ერთ-ერთ მთავარ გზავნილს - „ქართული ოცნება“ პირობებს არ ასრულებს“.

„პოლიტიკური კრიზისის დარეგულირება უმაღლეს პოლიტიკურ დონეზეა აყვანილი. ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ შეთანხმების პროცესში ბრიუსელი უშუალოდ ჩაერთო. აქ წესები მკაცრია. პროცესში მონაწილეებმა პირობები არ უნდა დაარღვიონ, თუმცა ერთხელ მიცემული პირობის გატეხვა რომ „ქართული ოცნების“ ჩვეული სტილია, ეს უკვე ვნახეთ“. - ამ სიტყვებით დაამთავრა ჟურნალისტმა სიუჟეტი.

კავკასია

რაოდენობრივი შედეგები

„კავკასიის“ ეთერში მონიტორები ყოველდღიურად აკვირდებოდნენ 20:30-საათიან საინფორმაციო გამოშვებას „დღეს“. სამონიტორინგო პერიოდში ყველაზე ხშირად „ქართული ოცნება“ შუქდებოდა, (დროის 16% ნეგატიური ტონით). ყველაზე უარყოფითად გაშუქდა ბიძინა ივანიშვილი (დროის 76% უარყოფითი ტონით).

თემატური გაშუქება კავკასიაზე





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც გაშუქდა მონიტორინგის სუბიექტები.

შინაარსობრივი შედეგები

„კავკასია“ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი არხია. მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა, რომ მას ნეიტრალურზე მეტად ოპოზიციის სასარგებლოდ მიკერძოებული საინფორმაციო გამოშვება აქვს. ეს გამოიხატება როგორც ოპოზიციის სასარგებლოდ ბალანსის დარღვევაში, ასევე მმართველი პარტიისა თუ მასთან ასოცირებული პირის - ბიძინა ივანიშვილის მოხსენიებით ნეგატიურ კონტექსტში („ოლიგარქი“, „არაფორმალური მმართველი“, „ივანიშვილის შუშის სასახლე“).

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად ევროკავშირის წარმო-მადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი და საპროტესტო აქციები გაშუქდა. არხზე აქტიურად შუქდებოდა ნიკა მელიას დაპატიმრების საკითხიც. 24 თებერვალს საინფორმაციო გამოშვებაში (18:09) დრო დაეთმო ნიკა მელიას დაპატიმრებისა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით დასავლეთში გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს. მასალაში მოყვანილი კომენტარები კრიტიკული იყო ხელისუფლების მიმართ.

„მმართველ გუნდში საერთაშორისო პარტნიორების მწვავე გზავნილები ტრადიციულად „თარგმნეს“ სათავისოდ და დასავლელი პოლიტიკოსების განცხადებებში ხელისუფლების მიმართ კრიტიკა ვერ დაინახეს. მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა სტრატეგიული

პარტნიორების განცხადებებიდან მხოლოდ ის გაიგეს, რომ კანონი უნდა სრულდებოდეს, რაზეც, მათი თქმით, ხელისუფლება თანხმდება", - თქვა ჟურნალისტმა.

ტენდენციური იყო „კავკასიის" საინფორმაციო გამოშვებაში 16 მარტს გასული სიუჟეტიც, რომელიც პოლიტიკურ მოლაპარაკებებს ეხებოდა. მასალაში „ქართული ოცნება" უპასუხისმგებლო მხარედ იყო წარმოჩენილი. "ხელისუფლების ოპონენტები დანიელსონთან იმ იმედით მიდიან, რომ „ქართული ოცნება" პასუხისმგებლობას გამოიჩენს და 6-პუნქტიანი გეგმის საკვანძო პუნქტებს შეასრულებს... მოლაპარაკებების ფონზე, „ქართული ოცნების" მხრიდან ოპოზიციაზე ღია თავდასხმების მიუხედავად, სახელისუფლებო გუნდი მაინც იტოვებს იმედს, რომ ოპოზიცია კონსტრუქციულობას გამოიჩენს და მოლაპარაკების მაგიდას არ ააყირავებს", - თქვა ჟურნალისტმა.

არხი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებებს - ეს გამოიხატება როგორც ცალკეული მასალების მომზადებაში, ასევე, მისი ვრცელი კომენტარების გამოყენებაში.

17 თებერვალს ნიკა მელიას საქმესთან დაკავშირებით „კავკასიის" ეთერში გავიდა კიდევ ერთი სიუჟეტი (14:52). მასალა მიხეილ სააკაშვილს ვიდეომიმართვას ეხებოდა, ჟურნალისტი კი ბიძინა ივანიშვილს „არაფორმალურ მმართველად" მოიხსენიებდა. „საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ქვეყნის არაფორმალურ მმართველს ურჩევს, რომ ნიკა მელიას თავი დაანებოს. წინააღმდეგ შემთხვევში ივანიშვილს აფრთხილებს, რომ მასაც იგივე მოსამართლე გაასამართლებს", - ამბობს ჟურნალისტი.

არხზე პოლიტიკური პარტიების წევრები - „ნაციონალური მოძრაობიდან" გიორგი ჩალაძე, „ევროპული საქართველოდან" ვახტანგ კალოიანი და „სტრატეგია აღმაშენებლიდან" სერგო ჩიხლაძე ექსპერტების რანგში ისე იყვნენ წარმოდგენილი, რომ არ იყო მათი პოლიტიკური მიკუთვნებულება აღნიშნული. მასალაში რესპონდენტებს არ ჰქონდათ ტიტრები, რაც, ასევე, მიანიშნებდა მათ პარტიულ კუთვნილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ არხი იშვიათად წარადგენს რესპონდენტებს და არ იყენებს ტიტრებს, რაც რესპონდენტის ვინაობის დადგენას ართულებს.

რუსთავი 2

რაოდენობრივი შედეგები

“რუსთავი 2”-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ 9-საათიან „კურიერს“. „რუსთავი 2“-ის ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო და ყველაზე უარყოფითად ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოჩნდა (დათმობილი დროის 13 %).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც გაშუქდა მონიტორინგის სუბიექტები.

შინაარსობრივი შედეგები

„რუსთავი 2“ ცდილობს, აქტიურად და ნეიტრალურად გააშუქოს მიმდინარე მოვლენები, თუმცა რიგ შემთხვევებში იკვეთება ცალკეული წამყვანისა თუ არხის პოზიცია, რაც გამოიხატება ოპოზიციისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებით. აღსანიშნავია, რომ არხი მაყურებელს არ სთავაზობს ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მამხილებელ ექსკლუზიურ, სიღრმისეულ ან მოკვლევითი ხასიათის სიუჟეტებს.

მონიტორინგის პერიოდში რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ გამოყენებული უარყოფითი ან დადებითი გამონათქვამები/ტონი, ძირითადად, პოლიტიკოსებს ეკუთვნით. თავად ჟურნალისტები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოვლენებზე სასაუბროდ იყენებენ ნეიტრალურ, მაქსიმალურად სტერილურ ტერმინოლოგიას - გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს წამყვანის, ნათია ლაზაშვილის შესავალი ტექსტები.

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი და ნიკა მელიას დაპატიმრების საქმე გაშუქდა.

შესამჩნევ ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს, რომ „კურიერი“ პოლიტიკურ დიალოგსა და კრიზისზე მომზადებულ სიუჟეტებს ასრულებს მმართველი გუნდის შეფასებებით, რაც, შეიძლება, აღქმული იყოს როგორც საკითხზე „საბოლოო სიტყვა“, ერთგვარი „შეჯამება“, რაც „ქართულ ოცნებას“ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

ძირითადად, სიუჟეტებში არ გვხვდება საუბარი ოპოზიციის ბოიკოტის მიზეზებზე და მაყურებლისთვის შეიძლება ტოვებდეს შთაბეჭდილებას, რომ ეს ოპოზიციის აკვიატებაა. 3 თებერვალს კურიერში გასული სიუჟეტი (2:35) „მოწოდება ოპოზიციას“ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკების თემას მიეძღვნა. იმის მიუხედავად, რომ ფასილიტაციაში ჩართული ელჩები არ ლაპარაკობდნენ ცალკე აღებული ოპოზიციის ან მმართველი პარტიის პასუხისმგბელობაზე, წამყვანი მასალის წარდგენისას ყურადღებასამახვილებდაოპოზიციის პასუხისმგებლობაზე:

„უკვე მერამდენედ ელჩები ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ერის გამთლიანებისკენ მოუწოდებენ. კიდევ უფრო კონკრეტულია დიპკორპუსი ოპოზიციის მისამართით. საუბარია საქართველოს ორი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-სა და ევროკავშირის წარმომადგენლებზე, რომლებიც ბოიკოტში მყოფ ოპოზიციას კვლავ პარლამენტში შესვლას სთხოვენ. უმრავლესობის მხრიდან მანდატების გაუქმებაზე უარის თქმის შემდეგ ელჩების ახალი მოწოდების იგნორირების გამო პასუხისმგებლობის სიმძიმე ოპოზიციაზე გადადის, თუმცა ოპოზიციის რადიკალურად განწყობილი ნაწილი ამ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. დღეს „ლელოს“ მხრიდან ისიც კი ითქვა, რომ ელჩებმა რესურსი ამოწურეს.“ ოპოზიციის კრიტიკის ტენდენცია გამოიკვეთა 4 თებერვალს გასულ სიუჟეტშიც

„საარჩევნო რეფორმა პარლამენტში“ (24:33). “ახალი ინიციატივები, ახალი კომისია და ახალი მემორანდუმი. მე-10 მოწვევის პარლამენტში ფორსირებული პროცესები მიდის, თუმცა ოპოზიციას, რომელიც არ შედის პარლამენტში, არაფერი მოსწონს. საკანონმდებლო ორგანოში ამჯერად საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფი შეიქმნა. „ქართული ოცნება“ დოკუმენტზე “მოქალაქეებთან” ერთად მუშაობს, რომელსაც, ასევე, ემხრობა „გირჩი“. - ასე წარადგინა წამყვანმა სიუჟეტი.

5 მარტს სიუჟეტი გავიდა განსხვავებულ მოსაზრებების შესახებ პლებისციტთან დაკავშირებით. წამყვნის ტექსტი ამ შემთხვევაშიც ტენდენციური იყო. სააკაშვილზე ნეგატიური კონტექსტის შესაქმნელად მან ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ფაქტი ერთმანეთს დაუკავშირა.

“პლებისციტი ოპოზიციაში ახალი გაუგებრობის მიზეზი ხდება. მიხეილ სააკაშვილის განცხადებებმა ვითარება ოპოზიციაში ისევ არია და, როგორც ჩანს, საქართველოს ექსპრეზიდენტს თავადაც აქვს ახალი პრობლემები უკრაინაში. ვოლოდიმირ ზელენსკიმ რეფორმების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ერთი-ერთი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობიდან გაიწვია“, - თქვა წამყვანმა.

ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესის თემას მიეძღვნა 21 მარტის სიუჟეტი „ჩაშლილი მოლაპარაკებები“ (18:21), სადაც წამყვანმა ზუსტად ის აქცენტი გამოიყენა, რასაც მმართველი პარტია ოპოზიციის მიმართ იყენებს -

„როგორც მოსალოდნელი იყო, „გირჩი“ ოპოზიციაში ისევ უმცირესობაშია, ოპოზიციის უმრავლესობა კი ერთი სუბიექტის დღის წესრიგს მიჰყვება, რომელიც მთავარ დათმობად ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მაგიდაზე დაჯდომას მიიჩნევს”. - თქვა წამყვანმა მასალის წარდგენის დროს.

თუმცა ეს ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა, როცა წამყვანის ნათქვამი და სამთავრობო მესიჯი ერთმანეთს დაემთხვა. მაგალითად, 20 მარტს „ოპოზიციის გეგმაზე“, რომელიც რეგიონებში ჩასვლას და ხალხის მობილიზებას შეეხებოდა, შემდეგ სიუჟეტზე გადასასვლელად (მეგი ბაქრაძის გარდაცვალება) ასეთი ფრაზა თქვა:

“ოპოზიციის მიერ დაანონსებული მასშტაბური საპროტესტო ტალღა პანდემიის მესამე ტალღის მოლოდინს ემთხვევა. რამდენად შეძლებს ჩვენი ქვეყანა პანდემიის მორიგ აფეთქებას გაუმკლავდეს, უცნობია“.

POSTV

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ POSTV-ს მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 19 საათზე. სამონიტორინგო პერიოდში პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო (დროის 22 % დადებითი ტონით). ყველაზე ნეგატიურად გაშუქდა მიხეილ სააკაშვილი (დროის 88 % - უარყოფითი ტონით) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (დროის 61 % უარყოფითი ტონით).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდა.

შინაარსობრივი შედეგები

POSTV პროსახელისუფლებო ტელეარხია და იგი მუდმივად დადებითად წარმოაჩენს „ქართულ ოცნებას“ და, ასევე, მუდმივად ცდილობს ოპოზიციის დისკრედიტაციას. მის ეთერში ფაქტობრივად არ გადის კრიტიკული რეპორტაჟები ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ შესახებ. POSTV-ზე ოპოზიციას ძირითადად „რადიკალებად“ მოიხსენიებენ.

ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის არხი იყენებს საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ კამპანიური სახის სიუჟეტებს.

ოპოზიციას არხზე მოიხსენიებენ „რადიკალურ ოპოზიციად“, რომლის წარმომადგენლებიც ქვეყნის საზიანოდ მიმართავენ „დესტრუქციულ ქმედებებს“ და ყველა მათი გეგმა „რევოლუციური სცენარის განვითარებასა“ და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა. მიხეილ სააკაშვილი კი მოხსენიებულია „ბელადად“ და „კიევში გაქცეულად“.

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი და ნიკა მელიას დაკავების საქმე გაშუქდა. ამასთან, ამ საკითხების გაშუქებისას საინფორმაციო გამოშვებებში დარღვეული იყო ეთიკური, ობიექტური ჟურნალისტიკის ყველა სტანდარტი, ფაქტობრივად POSTV სახელისუფლებო პროპაგანდის იარაღს წარმოადგენდა.

ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარის, ნიკა მელიას დაკავების დღეს, 23 თებერვალს POSTV-მ ღიად გამოხატა თავისი პოზიცია, საგანგებო რეჟიმზე გადავიდა და „ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო. [საინფორმაციო გამოშვება](#) ასე დაიწყო:

„ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ტელეკომპანია POSTV მაუწყებლობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. ჟურნალისტი, პირველ რიგში, ამ ქვეყნის მოქალაქეა და აქვს უპირობო ვალდებულება, გააკეთოს მკაფიო არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის. ნაციონალური სიმსივნე, რომელიც ოცი წელია ჯიჯგნის ჩვენი სამშობლოს სხეულს, უნდა ამოიკვეთოს, ხოლო მისი მეტასტაზები განეიტრალდეს, რათა დამშვიდდეს ქვეყანა და ნორმალური, დემოკრატიული განვითარების საშუალება მიეცეს. წილი ნაყარია, POSTV ამ ბრძოლაში წინა ხაზზე იქნება! ასეთია ტელეკომპანია POSTV-ს პოზიცია“.

POSTV მოლაპარაკების ჩაშლაში ოპოზიციას ადანაშაულებდა და მას წარმოაჩენდამიხეილ სააკაშვილის დავალების შემსრულებლად, რომელიც კრემლის დავალებას ასრულებს. დასავლელი პარტნიორების კრიტიკის ადრესატებადაც მხოლოდ ოპოზიციას მიიჩნევდნენ. პოლიტიკური კრიზისის გაშუქებისას არხის სარედაქციო პოლიტიკა ძირითადად იყო შემდეგი სახის გზავნილები:

- ვადამდელი არჩევნების საკითხი დახურულია;
- ჩვენს ქვეყანაში პოლიტპატიმრები არ არსებობენ;
- საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები მთელმა მსოფლიომ აღიარა;
- მოლაპარაკების მაგიდასთან „ოცნება“ ქვეყნისთვის უფრო მნიშვნელოვანი წინადადებებით მიდის;
- დასრულდება თუ არა ოპოზიციის მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ საბოტაჟი?
- ოპოზიცია მოლაპარაკების ჩაშლას ცდილობს;
- ტესტი საზოგადოებაში განწყობებისთვის თუ მედიაციის მაგიდის აყირავების მცდელობა? რას გეგმავენ დესტრუქციული ძალები;

17 მარტს „პოს ტვის ეთერში გასული მასალა (19:34) არხის სარედაქციო პოლიტიკის საუკეთესო ილუსტრაციაა, რომელიც ემთხვევა სახელისუფლებო ნარატივს „არჩევნები არ გაყალბებულა“, „ხელისუფლება პროგრესულია“, „პოლიტპატიმრები არ არსებობენ“.

„ხელისუფლებამ პროგრესისკენ ნაბიჯები უკვე გადადგა. ახლა ჯერი ოპოზიციაზეა. დიალოგის მაგიდაზე მალე დაიდება შეთანხმების დოკუმენტი, რომელზეც მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ... ოპოზიცია ხელს მოაწერს და შევა პარლამენტში ან დროზე ადრე აღმოჩნდება ისტორიის სანაგვეზე. ევროპული პოლიტიკა მყარ და უტყუარ არგუმენტებს ეყრდნობა. როდესაც ვადამდელ ან ხელახალ არჩევნებს ითხოვ, ან ამ მოთხოვნას წინაპირობად აყენებ, არგუმენტად მყარი მტკიცებულებები უნდა გეჭიროს... როცა ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს და ყველა ოქმს ოპოზიციის წარმომადგენლის ხელმოწერა ამშვენებს, ხელოვნური კრიზისის შექმნის მცდელობას უფრო ადასტურებს, ვიდრე გაყალბებულ არჩევნებს...

რაც შეეხება გამოგონილ პოლიტპატიმრებს, ქართულ რეალობაში არც ისინი არსებობენ. ნიკა მელია გადაიხდის გირაოს და ის თავისუფალია. რაც შეეხება, კრიმინალ გიორგი, იგივე ჟორიკა რურუას, თუ ოპოზიცია აცხადებს, რომ ის პოლიტპატიმარია, მაშინ სამართლიანია ითქვას, რომ მათ პოლიტიკაში სწორედ კრიმინალები არიან, რადგან ამ ადამიანის სისხლიანი წარსულის შესახებ ყველასთვის ცნობილია“. ეს იყო ევროკავშირის ქართულ წარმომადგენლობაში ჩართვამდე საინფორმაციო გამოშვების წამყვანის ტექსტი.

მოლაპარაკების პირველი რაუნდის დასრულების შემდეგ კი არხის მთავარი სათქმელი იყო, რომ „ოპოზიციამ მოლაპარაკების მაგიდა ააყირავა“.

არხი ნეგატიური განწყობის შესაქმნელად განსხვავებულ ტიტრებს იყენებს.

15 თებერვალს POSTV-მ ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის ნიკა მელიას მოსალოდნელ დაკავებას. არხმა ეს მასალაც იმისთვისგამოიყენა, რომ ოპოზიცია დესტრუქციულ ძალად წარმოეჩინა და სახელისუფლებო მესიჯბოქსი გაეტარებინა.

"შესაძლოა, მელია თბილისის საცხოვრებელი სახლების სახურავებზე მორბენალი ვერ ვიხილოთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, თავის ბელადზე უფრო სკანდალური სანახაობა ჰქონდეს ჩაფიქრებული. მელიაც შეეცდება, საკუთარ ბელადს იმედები არ გაუცრუოს... რადიკალები და მათი პარტაქტივი ქუჩაში გამოვლენ და დემონსტრაციის სახელით კანონდამრღვევი პოლიტიკოსის დაკავებისთვის უკანონობას გააპროტესტებენ. ასეთია ამ ეტაპზე ოპოზიციის დესტრუქციული გეგმები". - თქვა წამყვანმა მასალის წარდგენისას.

ამავე კონტექსტში იყო მთლიანად სიუჟეტი მომზადებული:

„მელიას სჯერა ან აჯერებენ, რომ გმირია; რომ მიმქრალი ნაკვერჩხლიდან ცეცხლს ააგიზგიზებს, ხალხს ქუჩაში გამოიყვანს და საპროტესტო მუხტს ასწევს. სააკაშვილის

სცენარის შემოქმედები სახელმწიფო გადატრიალებისთვის ემზადებიან... აქციების თარიღი გამოცხადებულია, გეგმა გაწერილი - დაიწყებენ მსვლელობით, მოამზადებენ ნიადაგს, შეამოწმებენ რესურსს და მანამდე მელიას დაჭერის საკითხის მანიპულირებით შეეცდებიან, საზოგადოებაში პროტესტის გრძნობა გააჩინონ...” ოპოზიციის დისკრედიტაციას ემსახურებოდა 11 თებერვლის სიუჟეტიც (31:09), რომელიც საარჩევნო რეფორმას ეხებოდა. „ქართული ოცნება“ „სიტყვის შემსრულებლად“ იყო წარმოჩენილი, „ნაციონალური მოძრაობა“ კი „საკუთარ თავზე მზრუნველ პარტიად“.

“თვითმმართველობის არჩევნებამდე 8 თვით ადრე „ქართული ოცნება“ საარჩევნო რეფორმის განხილვას იწყებს, რომელიც ძირეულად იცვლება, მათ შორის დაიწევს საარჩევნო ბარიერი, რომელიც 5-დან 3 პროცენტამდე შემცირდება... სწორედ ეს ცვლილებები არ აწყობს „ნაციონალურ მოძრაობას“. თუ ბარიერი დაიწევა, პარლამენტში შესვლას პატარა პარტიებიც შეძლებენ - ეს კი ნიშნავს, რომ ნაცმოძრაობა იმ პარტიებზე, რომლებსაც ახლა წნეხის ქვეშ ამყოფებს, გავლენას დაკარგავს. ამიტომ რადიკალების სტრატეგია უცვლელია, ისინი კვლავ ქუჩის აქციებით იმუქრებიან და რიგგარეშე არჩევნებს ითხოვენ”, - ამბობდა ჟურნალისტი მასალაში.

POSTV-ზე ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის მანიპულაციის ელემენტებსაც იყენებდა. ასეთი იყო 8 თებრვლის სიუჟეტი “ლელოს” ლიდერის, მამუკა ხაზარაძის ინიციატივასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში შესაძლებელი გამხდარიყო კომერციული ვაქცინის შემოტანა. არხმა ეს ფაქტი ხელის მოთბობად გააშუქა.

მასალა კოვიდსტატისკის შესახებ ინფორმაციის გაცნობით დაიწყო და აღნიშნული იყო, რომ კლინიკებში ვაქცინაციის დაწყებისთვის მზაობაა.

“ამ ფონზე კომერციული ბანკიდან პოლიტიკაში გადაბარგებული სუბიექტები ხელის მოთბობას ცდილობენ - მეტი შემოსავალი თუნდაც მოსახლეობის ჯანმრთელობის ფასად. პარტია „ლელოს“ დამფუძნებელს, მამუკა ხაზარაძეს, სურს, რომ ვაქცინის კომერციულად შემოტანა ქვეყანაში ნებადართული გახდეს...“, - თქვა ჟურნალისტმა.

ხაზარაძის დისკრედიტაციის შემცველი მასალა ხელისუფლების პოზიტიურად შეფასებით მთავრდება:

„პანდემიის პირობებში ხელისუფლების მიზანი უცვლელია - ჯანმრთელობა და ეკონომიკის ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა”.

ვაქცინაციაზე გაკეთებული განცხადება PosTV-მ ხაზარაძის მიმართ ნეგატიური შინაარსის კამპანიური სახის სიუჟეტების მოსამზადებლად გამოიყენა.

მაესტრო

რაოდენობრივი შედეგები

„მაესტროს“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 9 საათზე. „მაესტროს“ ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართული ოცნების“ გაშუქებას დაეთმო და ყველა 8ზე დადებითადაც ეს პარტია წარმოჩნდა (დროის 11% პოზიტიური ტონით), ყველაზე უარყოფითად - მიხეილ სააკაშვილი (დროის 69 % ნეგატიური ტონით). პარტიებს შორის ყველაზე უარყოფითად „ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა (დროის 22 % უარყოფითი ტონით).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდა.

შინაარსობრივი შედეგები

„მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებები მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო, თუმცა, არხს არ ჰქონდა ექსკლუზიური მასალები და სიღრმისეული რეპორტაჟები. მაესტრო ძირითადად ზედაპირულად აშუქებდა მიმდინარე მოვლენებს. მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა არხის მიკერძოება მმართველი პარტია „ქართული ოცნებისადმი“. ამავდროულად, ოპოზიცია წარმოჩენილი იყო დესტრუქციულ ძალად, სიუჟეტებში მკაფიოდ არ ჩანდა მათი ბოიკოტირების მიზეზი. მიხეილ სააკაშვილი წარმოჩენილი იყო ოპოზიციის ბოიკოტის მთავარ შემოქმედად და, პირიქით, ოპოზიციის ბოიკოტი, - მიხეილ სააკაშვილის დესტრუქციულ გეგმად და;ო “ულტიმატუმებად“.

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად „მაესტროზე“ გაშუქდა ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი და ნიკა მელიას დაკავების საქმე. ამ საკითხების გაშუქებისას ოპოზიცია წარმოჩენილია დესტრუქციულ, რადიკალურ ძალად, რომელიც, „მიუხედავად საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებისა“, უარს ამბობს პარლამენტში შესვლაზე. ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში, ჭარბობს მმართველი პარტიის წარმომადგენელთა კომენტარები და, საერთოდ, თემის გაშქებას აკლია კონტექსტი - რატომ ამბობს ოპოზიცია უარს, რა საფუძველი აქვს მათ ბოიკოტს და რამდენად მასშტაბურია პროტესტი. ეს ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში არ ჩანს. მაგალითად, 2 თებერვალს „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი, „მეორე შანსი ოპოზიციას“ (6:51), სადაც „ქართული ოცნება“ წარმოჩენილი იყო დამთმობ და შანსის მიმცემ პარტიად, ოპოზიცია კი ამომრჩევლისთვის იმედის გამცრუებლად. სიუჟეტის მთავარი სათქმელი ის იყო, რომ მმართველმა პარტიამ „კარი ღია დატოვა“. გარდა ამისა, სიუჟეტი შეიცავდა ფაქტობრივ შეცდომასაც. ჟურნალისტმა მტკიცებით ფორმით თქვა, რომ ოპოზიცია ხელფასს იღებს, როცა რეალობა სხვანაირი იყო და ამის შესახებ მედიაშიც გავრცელდა ინფორმაცია.

“51 გვარი სხდომათა დარბაზში ორჯერ ამოიკითხეს, უპასუხოდ, და ბევრი უარის მიუხედავად, შანსი კიდევ ერთხელ მისცეს. „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციისთვის კარი ისევ ღია დატოვა”, - ამ სიტყვებით დაიწყო ჟურნალისტმა სიუჟეტი, დასრულების დროს კი თქვა: „რუსთაველის 8 ნომერში კარი ღიაა. ახლა ის უნდა გაირკვეს, გახდება თუ არა დღევანდელი გადაწყვეტილება მოლაპარაკების საფუძველი. მანამდე კი გარეთ დარჩენილი დეპუტატები ისევ მოქმედ დეპუტატებად რჩებიან და ხელფასსაც დეპუტატისას იღებენ“.

ცალკე სიუჟეტი მომზადდა ბოიკოტის რეჟიმში მყოფი ოპოზიციონერი დეპუტატების პოზიციების შესახებ. არც ამ მასალაში ჩანდა, რატომ მიიჩნევს ოპოზიცია ბოიკოტს მნიშვნელოვნად და რა მიზეზით დაიწყო ის. კონტექსტი ამ შემთხვევაშიც იგივე იყო.

„შანსის მიუხედავად, ხალხის ხმას ოპოზიცია პარლამენტის ნაცვლად პარლამენტთან გააჟღერებს...” - ასე დაიწყო მორიგი სიუჟეტის წარდგენა საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა. 2 თებერვალს გავიდა ასევე სიუჟეტი „ნომრების ომი“, რომელიც „მოქალაქეების“ პარლამენტში შესვლას დაეთმო და ერქვა „მოქალაქეების” პირველი დღე პარლამენტში“. „მაესტროს“ შერჩეული თემა როგორც ოპოზიციონერი დეპუტატების პარლამენტში შესვლის, ისე სატელეფონო ნომრების საჯაროდ გამოცხადებასთან დაკავშირებით, ნამდვილად იყო მაღალი საჯარო ინტერესის შემცველი, თუმცა არხმა ამბავი მნიშვნელოვანი დეტალების მიჩქმალვით გააშუქა. არხმა იმ დროს „ქართული ოცნების“ ლიდერის, თეა წულუკიანის მიერ „მთავარი არხის“ მფლობელისა და დირექტორის ტელეფონის ნომრის გამოცხადების მომენტი ისე გააშუქა, რომ არ იყო აღნიშნული, რომ შესაძლოა, დარღვეულიყო პერსონალური მონაცემები. სიუჟეტში ვერ მოხვდა უარყოფითი შეფასება არასამთავრობო სექტორის, სახალხო დამცველისა და მათ შორის, ევრკავშირის ელჩისგანაც. “მაესტრომ” ფრაგმენტის იმ ფორმით გაშუქებით, როცა ნიკა გვარამიას ნომერი დაუფარავად შესთავაზა მაყურებელს, კიდევ ერთხელ შეუწყო თეა წულუკიანის მიზანს ხელი.

„მაესტროზე“ საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი მკვეთრად უარყოფით კონტექსტში შუქდება. ეს განწყობა ჩანს სიუჟეტის კადრებშიც და ჟურნალისტების ტექსტებშიც. თემები, რომლებიც მასთან დაკავშირებით მზადდება, შეიძლება მაღალი საჯარო ინტერესის მქონე არ იყოს, მაგრამ არხი ამ საკითხებს იყენებს მის უარყოფით კონტექსტში გასაშუქებლად. ამავე მასალებში ის მოიხსენიება, როგორც „ოპოზიციის სათავეში“ მყოფი.

მაგალითად, 4 თებერვალს „მაესტრომ“ გადასცა სიუჟეტი „სააკაშვილის ახალი მარცხი“, რომელიც “ევროპეისკაია პრავდაში” გამოქვეყნებულ მასალას უკავშირდებოდა.

„პოლიტიკური გვამისაგან პოლიტიკურ გვამებზე საუბარს არ ღებულობენ მმართველ უმრავლესობაშიც. ასე თავად ამბობენ და სააკაშვილის განცხადებებს მხოლოდ ბულინგის, დაშინებისა და ზეწოლის უშედეგო მცდელობად აღიქვამენ”. - ამბობს სიუჟეტში ჟურნალისტი.

პოლიტიკურ გვამებზე საუბარს არ ჩაუვლია ვიდეომანიპულაციის გარეშე. არხმა მაყურებელს გაახსენა ვანო მერაბიშვილის ცნობილი ფრაზა “ორი გვამი მჭირდება”, რასაც მოჰყვა ჟურნალისტის ტექსტი:

„ფიზიკური მკვლელობებიდან პოლიტიკურ მკვლელობებამდე, როგორც ამას მამუკა მდინარაძე ამბობს, ნაციონალურ მოძრაობაში ისევ გვამებს ითვლიან. ვინ დაემორჩილება ყოფილი მმართველების გავლენებს, ამას უახლოეს მომავალში დაგეგმილი კონსულტაციები გამოავლენს“.

ტვ პირველი

რაოდენობრივი შედეგები

„ტვ პირველის“ ეთერში მონიტორები ყოველდღიურ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „პირველებს“ და „ნოდარ მელაძის შაბათს“ აკვირდებოდნენ. ამ არხზე ყველაზე ბევრჯერ „ქართული ოცნება“ გაშუქდა (დროის 55% უარყოფითი ტონით), ყველაზე უარყოფითად კი ბიძინა ივანიშვილი იყო გაშუქებული (დროის 80 % უარყოფითი ტონით).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდა.

შინაარსობრივი შედეგები

„ტვ პირველი“ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული არხია და საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის ყველა მნიშვნელოვან ამბავს აშუქებს. არხი გამოირჩევა ექსკლუზიური რეპორტაჟებით, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა დარღვევის, ნეპოტიზმისა და კორუფციის ფაქტებს.

სამონიტორინგო პერიოდში „ტვ პირველი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კრიმინალურ ამბებს. პოლიტიკური თემები (საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმა, მოლაპარაკებები) არ ყოფილა პრიორიტეტული თემა.

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი და ნიკა მელიას დაკავების საქმე გაშუქდა. ამ პროცესების გაშუქებისას მმართველი პარტია უარყოფითად წარმოჩნდებოდა. „ბიძინა ივანიშვილის ქართული ოცნება“ - ხანდახან არხზე ასე მოიხსენიებდნენ მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“. პარლამენტი მოიხსენიებოდა ერთპარტიულად, „ნაციონალურ მოძრაობა“ კი - მთავარ ოპოზიციურ პარტიად.

„ტვ პირველი“, ოპოზიისგან განსხვავებით, ნეგატიურად წარმოაჩენდა მმართველ პარტიას, მათ შორის აგრესიული რიტორიკით. როცა საუბარი იყო მოლაპარაკებების ჩაშლაზე, იქ იყენებდნენ ფრაზებს: „ხელისუფლებამ მოლაპარკების მაგიდა ააყირავა“, „ქართული ოცნების შავი სამშაბათი“, მმართველი პარტია კოშმარულ სიზმარშიც ვერ წამოიდგენდა, რომ სენატორები, რომლებიც 2012 წელს ოცნების გამარჯვებას ბიძინა ივანიშვილთან ერთად ზეიმობდნენ, საგარეო კომიტეტის ტრიბუნიდან მათ პოლიტიკურ ვერდიქტს გამოაცხადებდნენ“.

ნეგატიური დამოკიდებულება მმართველი პარტიის მიმართ ნათლად გამოჩნდა 16 თებერვალს ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში „ნიკა მელიას საქმე - სრული მორჩილება პარლამენტში . მმართველი პარტიის ზედაპირული დამოკიდებულების საილუსტრაციოდ წამყვნმა თქვა, რომ ისინი მელიასთვის უფლებამოსილების შეწყვეტაზე მსჯელობის დროს მესიჯობდნენ, გადასაფარ კადრებშიც ჩანდა, როგორ იხედებოდოდნენ დეპუტატები ტელეფონებში.

„დეპუტატების ნაწილი ვერცკი ხსნიდა, რატომ აირჩია „მწვანე ღილაკი“, - ამბობდა ერთი წამყვანი, მეორე წამყვანმა კი ასე განაგრძო სიუჟეტის წარდგენა: „ქართული ოცნების წევრები კამერების ობიექტივში დღეს განსაკუთრებულად მოექცნენ. მაგალითად, მაშინ, როდესაც მელიას პატიმრობის დასასაბუთებლად მისულ პროკურორს, რომელიც თითქოს მათ დარწმუნებას ცდილობდა, არცკი უსმენდნენ და ტელეფონებში მესიჯობოდნენ. ბოლომდე ზოგმა ისიცკი ვერ გაიგო, რას და რატომ მისცა ხმა”. ამავე ტონალობაში გაგრძელდა სიუჟეტში ჟურნალისტის ტექსტიც . „ერთპარტიული პოლიტიკის მრისხანე

შედეგი ასეთია: ქვეყანაში პოლიტიკური გადაწყვეტილება ერთმა პარტიამ და ამ პარტიის 88 არჩეულმა დეპუტატმა ისე მიიღო, რომ არც პარლამენტში მყოფი პროკურორისთვის მოუსმენია, არც პარლამენტს გარეთ მყოფი კრიტიკოსებისთვის და არც, ალბათ, საკუთარი თავის... მელიასთვის იმუნიტეტის შესაჩერებლად მმართველ პარტიას 7 საათი დასჭირდა, თუმცა პროცესის ფორმალურობა თავიდანვე ცხადი იყო...”

„ტვ პირველი“ კრიტიკული იყო იმ პარტიების მიმართ, რომლებიც პარლამენტში შევიდნენ ან შესვლას განიხილავდნენ. მაგალითად, 4 თებერვლის სიუჟეტი „პოლიტიკური კაპიტულაცია თუ საუკეთესო გამოსავალი?, სადაც პარტია „მოქალაქეები“ „ქართული ოცნებასთან“ გარიგებაშია დადანაშაულებული.

„პოლიტიკური კაპიტულაცია თუ საუკეთესო გამოსავალი - დოკუმენტი, რომლის გამოც ალეკო ელისაშვილი და ლევან იოსელიანი პარლამენტში შევიდნენ, სულაც არ აღმოჩნდა ის, რასაც ოპოზიცია ითხოვდა. მართალია, პარტია „მოქალაქეები“ თავს იწონებს ამ დრომდე, რომ შეთანხმება „ოცნებასთან“ ოპოზიციის მოთხოვნებზე შედგა, თუმცა ბოიკოტში მყოფი პარტიები პრინციპულ განსხვავებებზე საუბრობენ... ამიტომ ჩნდება კითხვა, შეთანხმდა თუ გარიგდა ალეკო ელისაშვილი“, - თქვა წამყვანმა სიუჟეტის წარდგენისას. პარტიის მიმართ კრიტიკა ისეთ დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა, მტკიცებით ფორმაში გაგრძელდა სიუჟეტშიც. “ოპოზიციის ინტერესების გასატარებლად პარლამენტში შესული პარტია იმ რეფორმაზე მუშაობს იწყებს, რომელიც ოპოზიციის ინტერესში საერთოდ არ ყოფილა...”. - თქვა ჟურნალისტმა.

ფასადური ცვლილებები - ასეთი აქცენტით გააშუქა ა ტვ პირველმა „ქართული ოცნებისა“ და „მოქალაქეების“ ინიციატივა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესახებ. მაგალითდ, 5 მარტს, სიუჟეტში „დავა საარჩევნო კანონზე“, მასალის წარდგენისას გამოშვების წამყვანმა ხაზი გაუსვა, რომ რეალურად ეს არის ფასადური ცვლილება. იგივე პათოსი იყო სიუჟეტშიც და პარტია „მოქალაქეებიც“ წარმოჩენილი იყო, როგორც ოცნებასთან გარიგებული, ფასადურ ცვლილებებზე ხელმომწერი პარტია.

ტვ პირველის კრიტიკული დამოკიდებულება გამოვლინდა რესპუბლიკური პარტიის მიმართაც 10 თებერვალს. საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩინა „რესპუბლიკური პარტიის“ ინიციატივაერთჯერადად შესულიყვნენ პარლამენტში საარჩევნო საკითხებზე ცვლილებების მისაღებად.

“კიდევ ერთი პარტია, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში შესასვლელად ემზადება. რესპუბლიკელები ამბობენ, რომ ეს მხოლოდ დროებითი პოლიტიკური სვლა იქნება. იმ პარტიის წევრები, რომლებმაც ოპოზიციური ერთობის პროპორციული საარჩევნო სიით გაიმარჯვეს, ახლა ამ ერთობის სხვა მსხვილი პარტიების გვერდის ავლით ცდილობენ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას. რესპუბლიკური პარტიის წევრების განმარტებით, ისინი პარლამენტში საკუთარ მანდატებს ერთჯერადად გამოიყენებენ და შეეცდებიან ამ

ფორმით წვლილი შეიტანონ საარჩევნო რეფორმის შესახებ კანონპროექტის დამტკიცებაში", - თქვა წამყვანმა სიუჟეტის წარდგენისას.

ტვ პირველზე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომელთა პოზიციაც, შესაძლოა, პარტიის პოზიციას გამოხატავდეს, ხშირად , როგორც „ჯანდაცვის ექსპერტები" ისე იყვნენ წარმოდგენილი.

ობიექტივი

რაოდენობრივი შედეგები

„ობიექტივის" ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას, „ნამდვილ ამბებს". საინფორმაციო გამოშვებაში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულულ ოცნებას" და მისთვის დათმობილი დროის 29 % უარყოფითი ტონით იყო. ყველაზე უარყოფითად გაშუქდა მიხეილ სააკაშვილი (85 %) და „ნაციონალური მოძარობა" (40%).





*დიაგრამაზე მოცემულია მხოლოდ ის თემები, სადაც მონიტორინგის სუბიექტები გაშუქდა.

შინაარსობრივი შედეგები

„ობიექტივი“ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი არხია და მიკერძოებას იჩენს „პატრიოტთა ალიანსისადმი“. „ობიექტივი“ აკრიტიკებს როგორც ხელისუფლებას - „ქართულ ოცნებას“, ასევე „ნაციონალურ მოძრაობას“ და მისი წიაღიდან წამოსულ პარტია ,,ევროპულ საქართველოს. იმ ფონზე, როცა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები არ შევიდნენ

პარლამენტში და ნაკლებად ჩნდებოდნენ, „ობიექტივის“ ეთერში ოპოზიციის კომენტარებში მათი მოსაზრებები ჭარბად იყო წარმოდგენილი.

„ობიექტივის“ საინფორმაციოს მთავარი ეთიკური პრობლემაა ჟურნალისტების მიკერძოებული ტექსტები, მათ ნათქვამში გამოსჭვივის პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც არ შეესაბამება ახალი ამბების გაშუქების მაღალ სტანდარტს.

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს შორის ყველაზე აქტიურად გაშუქდაევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი და ნიკა მელიას დაკავების საქმე. მიუხედავად იმისა, რომ არხის მომზადებულ სიუჟეტებში შესამჩნევი იყო რიგგარეშე არჩევნების მხარდაჭერა, ოპოზიციური პარტიების ნაწილი ნეგატიურად იყო წარმოჩენილი, ნაწილი კი ნეიტრალურად. პარლამენტს მოიხსენიებენ „თითქმის ერთპარტიულად“, „ქართულ ოცნებას“ – „მეოცნებე ხელისუფლებად“, „ნაციონალური მოძრაობას“ კი „რადიკალურ ძალად“.

ევროკავშირის წარმომადგენელთა მედიაციით გამართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესის ჩაშლაში,სხვა არხებისგან განსხვავებით, „ობიექტივი“ „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ ერთნაირად ადანაშაულებდა. ჟურნალისტების ტექსტები, შერჩეული რესპოდენტები და მათი სინქრონები სწორედ ამ ხაზს ავითარებდა. მაგალითად, 31 მარტსგასულ სიუჟეტში (11:55) „ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის ინტერესები“ ნათლად ჩანს, თუ რომელი პარტიის მიმართ როგორი პოლიტიკა აქვს არხს. მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსი“, „ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ წარმოდგენილია ნეიტრალურად, „ქართული ოცნება“ და „გირჩი“ კი ნეგატიურად.

„სახელისუფლებლო გუნდში დღეს შეუთანხმებლობის მიზეზის ახსნა რამდენჯერმე სცადეს. ტრადიციულად, საკუთარ პასუხისმგებლობაზე - ნაკლებად ისაუბრეს, ოპონენტებზე და მათ მოთხოვნებზე კი მეტად... „ქართულ ოცნებასთან“ დახურულ კარს მიღმა აუდიენციები „გირჩის“ პოზიციებზე მალევე აისახა...”. - თქვა ჟურნალისტმა.

იმის მიუხედავად, რომ მასალის სათაურში ცალსახად უარყოფით კონტექსტშია წარმოჩენილი „ნაციონალური მოძრაობა“, მისი არცერთი წარმომადგენლის კომენტარი მასალაში არ გვხვდება.

არხზე ნეგატიურ კონტექსტში გაშუქდა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტიც, რომლითაც მმართველმა პარტიამ 5-პროცენტიანი ბარიერის 3- პროცენტიანამდე შემცირებას ეხებოდა. 25 მარტს მომზადებულ სიუჟეტში ეს ცვლილებები „ოპოზიციის სატყუარად“ არის შეფასებული. მასალის ქვესათაური იყო - „ქართული ოცნება ნაციონალური მოძრაობის იმედად რჩება“ (1:41)

„მმართველ გუნდში ბევრი იფიქრეს და გადაწყვიტეს, რომ ბოიკოტის რეჟიმში მყოფი ოპონენტები პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების გზით შეიტყუონ“. - თქვა მასალის ავტორმა.

ნიკა მელიას საქმეს „ობიექტივი“ მიკერძოებულად აშუქებდა. იმის მიუხედავად, რომ ეს საქმე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო, ის ვერ ხვდებოდა მთავარი საინფორმაციო გამოშვების პირველ ნახევარში. და თავად ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარეს „კანონდამრღვევად“ მოიხსენიებდნენ.

16 თებერვალს ნიკა მელიასთვის დეპუტატის იმუნიტეტის შეჩერების საკითხი „ობიექტივის“ საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან 26-ე წუთზე გავიდა.

„კანონდამრღვევი მელიასათვის უფლებამოსილების შეჩერება მოულოდნელი არავისთვის ყოფილა... მეოცნებე მთავრობა ირწმუნება, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია და დღევანდელი გადაწყვეტილებაც ამ რეალობიდან გამომდინარეობს”. - თქვა ჟურნალისტმა.

17 თებერვალს კი საინფორმაციო გამოშვების დაწყებიდან 27-ე წუთზე გავიდა ინფორმაციანიკა მელიას სასამართლო პროცეის შესახებ. მაშინ, როცა თითქმის ყველა სხვა ტელევიზია პროცესს პირდაპირ ეთერში გადასცემდა, „ობიექტივმა“ ამ ამბავს მხოლოდ 84 წამი დაუთმო და მაყურებელმა მხოლოდ პროკურორის კომენტარი მოისმინა.

მელიას საქმეს წინ უსწრებდა შემდეგი მასალები: „თავდასხმა ეკლესიაზე“, „ბრძოლა ეროვნულ ღირებულებებთან“ და „დიფფეიკი - საშიშროება თანამედროვე სამყაროში“.

ნიკა მელიას საქმე „ობიექტივის“ მთავარ თემად მხოლოდ 23 თებერვალს იქცა. კონტექსტი ამ შემთხვევაში ის იყო, რომ „მელიას დაკავებით სამართალი აღსრულდა“.

„ნიკანორ მელიას დაკავებით ქვეყანაში სამართლიანობა აღსრულდა - ასე აფასებენ პოლიტიკურ და ანალიტიკურ წრეებში „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის დაკავებას...” - ამ სიტყვებით დაიწყო ჩართვა მასალის ავტორმა.

ჟურნალისტმა მელიას დაკავების ლეგიტიმაციის შესაქმნელად მაყურებელს მის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა:

„დემონსტრაციულად მოსროლილი სამაჯური, დაპირისპირება კანონთან და პროვოკაციული უარი დაკისრებულ გირაოს. სააკაშვილის თანაგუნდელი კანონდამრღვევი მელიას გვარი მართლმსაჯულებასთან პირველად არ იკვეთება. რადიკალური ოპოზიციის ლიდერის წარსული სისხლის სამართლის კოდექსის არაერთ უხეშ დარღვევასთან ასოცირდება...“.

ნიკა მელიას დაპატიმრების დღეს „ნამდვილი ამბების“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ნეგატიური ტონით გაშუქდა „ქართული ოცნებაც“. „ობიექტივის“ ჟურნალისტების

ტექსტებიდან იკვეთება დამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც სწორედ მმართველი პოლიტიკური ძალის ბრალი იყო ის, რომ მელიას დასაკავებლად მთლიანი პოლიციური ძალის მობილიზება გახდა საჭირო, რომ ეს არ მოხდებოდა, თუკი „ქართული ოცნება“ სამართალს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აღასრულებდა.

“მმართველმა ძალამ პროცესები ისეთ ჩიხში შეიყვანა, რომ ნიკა მელიას დასაკავებლად სრულიად პოლიციის მობილიზება გახდა საჭირო, ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენა სწორედ ახლა გაახსენდა და საკუთარი ქცევა სამართლის აღსრულებით ახსნა”, - ისმოდა გადაცემის ანონსში, ჟურნალისტმა კი სიუჟეტი ამ სიტყვებით დაამთავრა:

„ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს პრინციპით მოქმედმა ხელისუფლებამ რადიკალური ოპოზიციის წევრის, ნიკა მელიას დაკავება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენად შერაცხა... საკვირველია ის ფაქტი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ „პატრიოტთა ალიანსის“ რეზოლუცია, რომელიც ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას და „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე რეჟიმად გამოცხადებას გულისხმობდა, ჩააგდო”.

სიუჟეტში წარმოდგენილი იყვნენ „ქართული ოცნების“, „პატრიოტთა ალიანსის“, „სოციალ-დემოკრატების“ ადვოკატები, „ექსპერტები“, მაგრამ არავინ, ვინც მელიას პოზიციას გამოხატავდა. აღსანიშნავია, რომ მასალაში არ იყო გაჟღერებული ინფორმაციასაპოლიციო ძალებისა და სპეციალური სპრეის გამოყენების შესახებ.

ამავე დღეს კიდევ ერთი მასალა გავიდა ნიკა მელიას დაკავებასთან დაკავშირებით, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ მისი მიზანი იყო მელიას დისკრედიტაცია.

„მასშტაბური შეკრების ნაცვლად - 700-მდე ადამიანი. ნიკა მელიას დაკავების გასაპროტესტებლად სწორედ ამ რაოდენობის მხარდამჭერების მობილიზება შეძლო ე.წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ”. - თქვა წამყვანმა.

16 და 17 თებერვალს, მაშინ, როცა მთავარი პოლიტიკური მოვლენა ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნა და მისი სასამართლო პროცესი იყო, „ობიექტივის“ პირველი სიუჟეტები მართლმადიდებლობის დაცვას ეხებოდა. ამ კონტექსტში „პატრიოტთა ალიანსი“ წარმოდგენილი იყო, როგორც „ბოროტ ძალებთან“, “ფსევდოლიბერალურ ძალებთან” მებრძოლად. ზოგადად ეს თემა და ამ კონტექსტით „ობიექტივის“ ერთ-ერთი მთავარი მხარეა, სადაც პოზიტიურად წარმოაჩენენ „პატრიოტთა ალიანსს“.

„შეტევა მართლმადიდებელ ეკლესიაზე და ქართული საზოგადოების პასუხი - რას ფიქრობენ სასულიერო პირები და მრევლი ეკლესიის მტრების მიზნებზე. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე მოქალაქეებს უწმინდესის ნდობისა და მხარდაჭერისკენ მოუწოდებს”. - ისმოდა გადაცემის ანონსში 17 თებერვალს.

გენდერული სტერეოტიპები – სატელევიოზიო ახალ ამბებში

მონიტორინგის პერიოდში სატელევიზიო ახალ ამბებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაკეთებულა.